

საქართველო ნახატებიანი

ქურნალი

№ I

იანვარი

1909




შ ი ნ ა ა რ ს ი

უკრხაღ „ჯეჯიღისა“

I	ფერადი სურ., ნეტა, ჩემზე ხომ არ ბაასობენ ეს ძაღლები!	2
II	ზამთარი, ლექსი ჯადო გებეჭკარისა	3
III	პროექტორზე როგორღა წახვალ? კკ. გაბაშვიღისა	4
IV	ქეთინოს სიზმარი, ანიკასა . . . . .	7
V	მაზრის მოსამართლე მიხეიღი. დასასრული. (რუსულღ) თარგმანი იღ. ფერაძესა . . . . .	10
VI	ვინ ვის აჯობა (თარგმანი) ან. წერეთღისა . . . . .	16
VII	რიკვი-ტიკვი-ტავი, (დასასრული) თარგ. ეღ. წერეთღისა	20
VIII	გასართობი . . . . .	30
-----		
IX	არ მიფიქრნია! ამბავი, კკ. გაბაშვიღისა . . . . .	33
X	მარჯანი, სურათებით, შ.—სი . . . . .	42
XI	მიწის ძვრა იტალიაში . . . . .	50
XII	„კიბუნ-ღეიზინ“ მოთხრობა ჯენზეღი მურაისა (გაგრძეღება) აღ. ნათაძესა . . . . .	53
XIII	გამოსადეგი ცოდნა: წუმწუმა (სანათი) . . . . .	61
XIV	მაკარონი . . . . .	62
XV	განცხადებები.	



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საქმეწვილო ნახატებიანი  
ჟურნალი

198

იზარდუ, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო!..  
ო. დ.

№ I

იანვარი, 1909

ქალიწალი მმომ

თ უ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავი ამს. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.  
1909



საქართველოს  
ბიბლიოთეკა



# ზ ა მ თ ა რ ი .



იდამო ჩამობურვილა,  
სეს განცვივნია ფოთლები;  
ძიები სწიოკად ქცეულან,  
აღარ ჰქუვაუიან ვარდები.

აღარ გაისძის ბუღბუღის  
ტკბილი ჭიკჭიკი და სტვენა;  
მერცხლებიც გადაგვიფრინდენ,  
მოსძებნეს თბილი ქვეუანა!

აღარც ნადირნი მოსჩანან,  
მოუძებნიათ ძათ ბინა...  
ხან თოვს და ხან წვიმს, ქვეუანას  
ზამთარი კვლავ მოეუღინა.

მაგრამ ამ ზამთარს, სუსხიანს,  
მოჰქუვება კვლავ გაზაფხული,  
და ქვეუანათ კვლავ გაძეუდება  
ხალხის შუება-სისარული!

და აჰქუვაუდება მიდამო  
თოვლითა ჩამობურვილი,  
გაიფურჩქნება ტყე-ველი,  
აბიბინდება ჯეჯილი.

ლადო გიგეჭკორია.

ს ა მ თ ა რ ი  
ვ ა რ წ ა მ ა ნ თ ი ს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## პროექტორზე როგორ-და წახვალ!



ატარა გოგლო სამისელი ონავარი ბავშია. მთელი დღე სულ რაღასაც დაეძებს, სუეველაფერს ჭქექავს სახლში, აქოთებს, სუეველაფერს დაკვირვებით შინჯავს, მერე ამტვრევს, ფხრეწავს.

სან ტასტ ქვეშ შემვრება, სან მბვიდსე აფოფხდება, სან ბუხრის ნაცარს ქექავს და სახლში მტვერს აეწებს. ერთის წამით ვერ მოაშორებს თვალს.

ახალ წლის მეორე დღეს დედამ გოგლო მორთო, მოკმაწა: მძენიერი კარდის ფერი ხალათი ჩაცვა, სუფთა ხულქ-ბაშმაკი, ახალი ლამაზი ქუდი და ზალტო მოუმხადა და უთხრა:

— აბა, გენაცვა, ჰატარა ხანს ჭკვიანათ დაჯექი. აი ეს სურათებიანი წიგნი გადაათვალიერე. მეც მოვირობი და პროექტორის სანახავათ წავიყვან.

— პროექტორის, პროექტორის სანახავათ! სიხარულით შეჭვირბ გოგლომ.—ოჰ, დედა, ჩქარა ჩადიცი, ჩქარა! რა კარგია პროექტორი, რა ლამაზია



იქ დასატული ცოცხალი სურათები, ამ წიგნში ცოცხლები არ არიან. მე ცოცხლები უფრო მიძინებინან. გახსოვს პატარა ბიჭები წყალში რო ბანაობდენ, როგორ ხტოდენ, იცინოდენ!

— ძაჰ, ძაჰ! პროექტორში ცოცხალი სურათებია! ახლა უფრო ლამაზები, მშენიერები! აბა ჭკვიანათ იჯექ, ხელი არაფერს ახლო ოთანში და მეც წამსე მხათ ვიქნები და წავიდეთ. კიდევ გააფთხილა გოგლო დედამ და მეორე ოთანში გავიდა.

გოგლომ სურათებიანი წიგნი გადაძალა, ნახა რომ ეს სურათები ბევრჯელ ენახა, სოციურთს მათგანს გვერდებიც კი ჰქონდათ მოგლევილი იმის მოუსვენარი სელით და გადაისროლა.

ეს ძველები ნახატებია, მე ცოცხალი სურათები მინდა! და ჩუულებრივ დატრიალდა ოთანში.

ჯერ ძამის საწერ ძაგიდასე აძვრა, წიგნები, ქაღალდები აურ-დაურია. კალმის ტარს კაღაში წააძრო,



ლამაზათ წათლილი კარნაღით კედელზე რაღაც გამოხატა და წვერი მოსტესა. უნდოდა ძელანში თითი ჩაეყო და ერთ-ერთი წიგნის ფურცელზე ნიშანი და-

ესვა, მაგრამ სამელნე ცარიელი დახვდა (გოგლოს შიშით ძელანი ეოველთვის დაკეტილში ჰქონდა იმის



დედანს). მერე აქეთ-იქით მიიხედა, ფანჯარასე შესტა, ქუჩაში გაიხედა, მერე ბუსრის წინ მწოლარე კატას კუდში ხელი წაავლო და ააქნავლა, მერე გულზე მიიკრა და უაღფრსა, მაგრამ გამწერალმა კატამ გაჭკაწრა და გაექცა. გოგლოს მოსწეინდა, დედა კითხვისი ოთახიდან არ გამოდიოდა.

გოგლომ ოთახი ერთხელ კიდევ გადნათვალაიერა, სუეველბაფერს თვალი გადნავლო და ბუსრის რაფასე ჰატარა, სელ ჰატარა ევითელი შუშა დაინახა.

— რა ლამაზია, რა ჰაწაწაა! შორიდან უაღფრსა ჰატარამ ჰაწაწას, მერე სკამი მიიდვა, გადმოიღო ჰაწაწა შუშა და საცობი ამოაძრო. — ფუ, რა ცუდი სუნი უდის! ნეტა შიგ რა არის! ამ სიტყვებთან, შუშიდან ხელის გულზედ გადმოიხსნა შავი რბლაც სითხე.

კატისგან გაკაწრული ხელის გული შავმა სითხემ საშინლად დასწვა, გოგლომ საჩქაროდ სავსე მუჭა ხალათზედ გაიწმინდა და შეჭყვირა: ვაიძე, ვაიძე, დედა! ვაიძე! და ხელი ახლა თვალებზე მოიხსვა, ცრემლები მოიწმინდა, ჰირთანაც მიიტანა.

— რა იყო, გენაცვალე, რა იყო? გულ-განსეთქილი გამოვარდა გოგლოს დედა და კინაღამ გულს შემოეყარა. სკამზედ მდგომი გოგლო სწორეთ სავეველიერო ბერიკას ჰგვანდა: მტირალ თვალებთან დიდი შავი ზოლები ჰქონდა გასშული, დაღებულ ღრიალს ჰირთან ვეებერთელა ევითელი ლაქა, ჰირისფერი





პროექტორზე როგორ-ღა წახვალ!

ფარჩის ხალათი მთლად ასჭრელებოდა დიდრონ-დიდრონის ფოლაქებით, ლამაზი ჩუქ-ბაშმაკი იოდის უვითელი სითხით მთლად შეღებილიყო!

— დაძიდგეს თვალები, დაძიდგეს! ეს რა გიქნია, შე ონავარო, აბეზარო? ეს რა გიქნია! აბა ერთი სარკეში ჩაიხედე როგორი ძაბიშენი ხარ! და დედამ თან შეწუსებულმა და თან სიცილით ჰიწმედ, გოგლო სარკეში ჩაახედა.

— ვაიძე, ვაიძე! კვლავ შეჭბდავლხ გოგლომ და სირცხვილით თავი დედის კალთებში ჩამალა.


— აბა ახლა, ჩემო კარგო, პროექტორზე როგორ-ღა წახვალ?! უთხრა დედამ გოგლოს და იმის სახის და ხელუბის ხეხვას შეუდგა.

ეკ. გაბაშვილი.





## ქეთინოს სიზმარი.



ცელი ქეთინო, თამაშობით მოქანცული, ჩამოჯდა დასასვენებლათ ბუხრის წინ, სკამსე. თითონ ვერც კი ამჩნევდა, როგორ ნელ-ნელა ძილი მოეპარა. დედა რომ შემოვიდა მის საწოლ ოთახში, ის უკვე ღრმა ძილში იყო.

— ააა, თურმე ამიტომ არის აქ ასეთი სიჩუმე, ჩემ გოგონას ჩასძინებია. მთელი დღე სომ არ დადგება ამის ფეხი. დეე, ეძინოს, ჰატარა ხანს,—სთქვა დედამ და ვავიდა ოთახიდან. ჰატარა ქეთინოს კარგა ხანს ეძინა. უცნაურ სიზმრებში გართულს.

დღეს რომ თავის დედოფალს ხელ-ფეხი დაუძტვრია, გაცოცხლებულიყო, ხელ-ფეხს შესვეული უჯდა მას წინ და ასე ელაპარაკებოდა:

— მითხარ, ქეთინო, რათ გვამცავი ასე ცუდათ, შენს დედოფლებს? თამაშობის შემდეგ, არას დროს არ მიგვალაგებ, ყოველთვის აქა-იქ ვურივართ ხოლმე. ეველას ეუბნები, რომ მე ძლიერ გიყვარვარ. მერე მავას სომ არავინ დაგიჯერებს. აბა მიუხრე, ხელ-

ფენი სულ დამტვრეული მაქვს. კაბა სომ აღარ მაცვია, ზედ შემომფხრეწია, აღარც ლოგინი მაქვს. გაძღელი რამდენჯერ გაჯავრებულა შენსე, სათამა



შოები ადგილობრივ უნდა გაწეოსო. ბეგრჯელ, საწუბლს, თითონვე მიულაგებივართ, მაგრამ შენ კი ისევ სხვა და სხვა ადგილას გადაგუერიდი. შენი გაძღელი მშვენივრათ ჩამოკვამწკრივებდა სკამებზე, წინ

დაგვიდგამდა სხვა და სხვა ტკბილეულობას, გარშემო  
 ეკელა მიღაცებული, დასუფთავებული ჭქანდა ხოლმე.  
 ესლაც მესიამოვნება, რომ მოვიგონებ. შენ სრულე-  
 ბით არ იცი ჩვენი პატრი და ჩვენ ძალიან გვწეის.  
 ამიტომ ჩვენ, შენმა დედოფლებმა, გადავწყვიტეთ წა-  
 ვიდეთ იმისთანა ბავშვებთან, რომლებიც ჩვენ ვურს  
 გვიგდებენ და ეცოდინებათ ჩვენი მოვლა. თუ  
 ამისთანა კეთილ ბავშვებს ვურ ძევსვდებით, მაშინ  
 მივალთ ისევ იმ ვაჭართან, რომელმაც გაგვიცა. ის,  
 მკონი, სიამოვნებით მიგვიღებს. აი ჩვენი გადაწყვე-  
 ტილება. ძამ მშვიდობით, ქეთინო!

მართლაც, ქეთინო სედავს, რომ იმისი სავაზრე-  
 ლი დედოფალი კარებისკენ მიდის და თან მისდევენ  
 სხვა დედოფლებიც, შიათრევენ უუთებს სხვა და სხვა  
 სათამაშოებით სავსეს და მათ გორჯით მისდევენ  
 ბურთებიც.

ქეთინო წამოხტა, გამოუდგა დედოფლებს, უნდა  
 დაებრუნებინა და ამ დროს გამოეღვიძა.

ანიკო.

(რუსულით.)



# მარის მოსამართლე მიხეილი

როგორ გახდა ყხოველების მეგობარი?

(დასასრული)



ოდესაც მიხეილი წავიდა, მისმა ცოლმა მეხობლები ინახულა და რაც მოხდა აქ დღეს, ეველაფერი უაძბო. მიხეილის ჰატარა ვაჟიც წავიდა შინიდან

მეხობლის ბავშვებთან, და შინ მარტო ერთი მოხუცებული დიდი-დედა დარჩა. მან ლოცვანის კითხვა მოინდომა, მაგრამ სუსტი თვალები ჰქონდა და ძალე დაიღაღა.

— ძალიან მოსაწეენია დღესასწაულ დღეს მარტო შინ ყოფნა, მუნჯად უნდა იყო! — სთქვა მან თავის-თავად.

— ძელაპარაკე მე! — უთხრა კატამ, — რომელიც ღუმელას იქიდან გამოხტა და დიდი-დედას კაბის ანლოს მოიკაღათა.

— ჩემთან ილაპარაკე! — უთხრა ძაღლმა, რომელიც ძავიდან ქვემოდამ გამოხტა.



— ძალიან კარგი, ჩემო კეთილის-მოფლებო, — სინაზრულით სთქვა დიდი-დედას, — ძალიან შესაძომუნება თქვენთან მუსაიფი და ამას გარდა, მოითმინეთ, მინდა უაზითაც გავიმასწინძლდეთ.

დიდი-დედას სრულიათაც არ შეეშინდა, როდესაც ნახსა, რომ ძალღი და კატა ლაზარაკობდენ: მას თავის სიცოცხლეში ბევრი რამე ენახა და გაეგონა. ის წინადაც ამბობდა სშირბდ, რომ ეგელა ჰირუტეგები ძალიან ჭკვიანები არიან და მარტო ის უკვირდა, რატომ მათ ლაზარაკი არ იცოდენ.

აი ესო ს ძალღი ბახულა და კატა კნავილა დიდი-დედასთან ერთათ მაგიდას შემოუსხდენ და ეავის სმას სელი მიჭკეეს. თანაც მეკობრულათ მუსაიფობდენ. როდესაც ეავის სმას მორხენ, კნავილამ მოიწმინდა თავისი ჰირი და მოხუცებულის საწოლსე ასტა; დიდი-დედა სავარძელს მიეეუდა და თვლეს დაიწყო; ბახულა კი მის ფესებთან დაწვა. ოთახში თითქმის მთელი ერთი საათი სინუმი იყო. მაგრამ მსუნავი კნავილა საწოლიდამ ჩუმათ ჩამოსტა, ცქერტად მაგიდასე შესტა და სარძევეში შესახულს ნაღებს სიამოვნებით შეექცეოდა. კნავილა ფიქრობდა, — ვერავინ გამიგებსო, მაგრამ ერთგულს ბახულას არ ეძინა და კატის ოინებს უცქეროდა. ის მარდად წამოსტა და კატას ეევა დაუწყო. დიდი-დედა ეევამ გამობღვიძა. იმავე წუთში კარი გაიღო და სანღში ჰატარანუცა შემოიჭრა. ნუცა მიხეილის შვილობილი იყო.



იძან მხიარულათ, ტოროლასნავით ჭიკჭიკი დაიწყო  
კარებშივე:

— დიდი-დედი! შენ არ დაიჯერებ, დღეს ტყეში  
რბ მხიარულებას. ეველა ფრინველები ლაპარაკობენ,  
სწორეთ ისე, როგორც ჩვენ. დილით ტყის ძველ  
ბეჟანთან ორი ნახუქი მიძინდა, როდესაც ტყის ბი-  
ლიკსე მივდიოდი, ხმა გავიგონე: „ვხედავ, ვხედავ  
კალთის ქვეშ ნახუქები გაქვს!“ მივიხედე და დავინა-  
ხე გულ-წითელა ფრინველი, ფიჭვის ხესე იჯდა და  
ფრთებს ისწორებდა. რო შემომხედა, კიდევ მითხრა:  
„მაგ ნახუქის რამდენიმე ნამცეცი მაინც გავკვიზარე!“  
გავიხედე ფიჭვის ჰირდაზირ და ნამვის ხესე წყალ-  
წყალა იჯდა და ჭიკჭიკებდა. ამის შემდეგ მრავალი  
ფრინველი ერთად შეგროვდა და ერთხმად მთხოვდა:  
„მოგვეცი ნამცეცები მაინც. ჩვენ გვცვივა და თანაც  
კუმვივა!“ ერთი ნახუქი მთლად ფრინველებს შევაჭამე.  
ისინი დიდის აღტაცებით ნახუქის ნამცეცებს ჰკენ-  
კავდენ. მეორე ნახუქი ბეჟანს მიუტანე. ბეჟანის სა-  
ხლიდამ რო მინ მოვდიოდი, ფრინველები სიხარუ-  
ლით ტკბილათ ძღეროდენ და თან ამბობდენ: „დღეს  
მხიარულათ ვართ! საკმაოთ შენი ნახუქით გავძენით,  
ძვირფასო ნუცა! დაე ამ მოწვალებისთვის დემოთმა  
დაგლოცოს!“ იმათი სიმღერა ძალიან მესიამოვნა.  
ამიტომ ძლიერ მხიარული და ბედნიერი ვარ ამ  
წუთში.

ამ დროს მიხეილი და იმისი ცოლი მინ და-

ბრუნდენ: მიხეილი საუდრდამ მოვიდა და იმისი ცოლი კი მესობლებიდაძ.

— საუცსოვო დღესასწაულია დღეს!—სთქვა მიხეილმა,—ეველ ცხოველები ლაპარაკობენ და ეველ გონიერი და შეგნებული შეიქმნენ.

— ისინი წინათაც ასეთივე ჭკვიანები იყვნენ—სთქვა დიდი-დედამ,—თუძცა ჩვენ ადამიანებმა ეს არ ვიცოდით.

ამავე დროს დიასახლისმა შენიძნა, რომ სარძევეში ცოტა ნაღები-ღა დარჩენილიყო და უავას არ ეყოფოდა. მას და იმის ქმარს კი ჯერ უავა არ დაელიათ. ის გაჯავრდა და სთქვა:

— კიდევ ვიღაცამ მოიპარა ნაღები... ეს შენი საქმეა, ნუცა! თუ კიდევ ასე მოიქცევი, კარში გაგაკლებ სიცივე-ყინვაში.

ნუცა მწარედ ატირდა. მაგრამ რადგანაც მას არაფრით თავის გამართლება არ შეეძლო, კეთილი ბახულა მივიდა დიასახლისთან და მოასხენა:

— მოისძინეთ, დიასახლისო! ნუცას არასოდეს არაფერი მოუპარავს; ის ჰატეოსანი ქალია. ნაღების დღევანდელი და წინანდელი მპარავი საწოლ ქვეშ დაიძალა.

— გამოძვერი საწოლ ქვეშიდაძ, კნავილა,—სთქვა გამწვრალმა დიასახლისმა,—ნაღები შენ მიგირთმევიან?!

კნავილა გამოვიდა საწოლ ქვეშიდაძ, კრუტუნია და კუდის ქევა დაიწყო და თან დიასახლისის კაბის ბოლოს ელაქუცებოდა. კნავილამ სთქვა:





— მართალია, მე ვინაზავ ნაღებს და მთელის ამ  
ოჯახისგან გაკიცხვის ღირსი ვარ. მაგრამ ნება მი-  
ბოძეთ, ორიოდუ სიტყვა მოგახსენოთ, თუ თქვენს  
სახლში რა ცუდ მდგომარეობაში ვარ მე, კატა,  
მეირფასო დიასახლისო! საჭმელს რომ საკმაოდ მა-  
ძლევედე, აღარც ნაღებს მოგპარავდი. ეველა შინაურს  
ცხოველებს პატრონი საჭმელს აძლევეს, და საწებლს  
კატას კი არაფერსა; ის უნდა იკმაროს, რასაც თვი-  
თონ შემთხვევით ნახავს. მაგრამ განა ეოველთვის  
წავაწუღებით რასძქვს? ეველას თანასწორად მოექეცი.  
გვაძლიე ეოველს დღეს საჭმელი, და ჩვენ თქვენი  
ერთგული მსახურები ვიქნებით.

— გამიგონე, ელენე, — უთხრა ქმარმა, — დღეს ეო-  
ველი ზირუტეეების ზირით ჩვენი საეუბარელი გარდა-  
ცვალებული შვილი ანიგო ღაზარაკობს. ჩვენთვის  
მეირფასია მისი სძა გავიგონოთ, მთელი ჩვენი ეუ-  
რბდლება ამ სძას მივაქციოთ. ასალი ცხოვრება და-  
ვიწეოთ და ვეცადოთ ეველა ცხოველებს გულკეთი-  
ლად და სამართლიანად ვეპრობოდეთ.

— ძალიან კარგი იქნება, — სთქვეს ერთ სძათ  
დიასახლისმა, დიდი-დედამ და ნუცამ.

ძაღლმა და კატამ კი მიწამდის თავი დაუკრეს,  
როდესაც ეს მათი გადაწევეტილება მოისძინეს.

ილ. ფერაძე.

(რუსულით)

## ვინ ვის აჯობა?

(ფეოდორე—დავიდოვის)



მონი თავგი ბაღახებში გარბოდენ. უცბათ წააწედენ სვლიკს, რომელიც განახებული მსესე თებოდა. სვლიკს შეეშინდა და წა-  
მოიუვირა:

— ვაი, ვაი, მოძკლეს! დამასახიჩრეს ამ არ და-  
საცალებლებმა,—და საჩქაროთ სორიში შეძვრა.

თავგებმა ამითი თავი ძალიან მოიწონეს, არ ეგონათ, რომ ამისთანა ძალა ჰქონიათ და ასეთი საშიშრები ეოფილან.

— შენ რას ფიქრობ, ძამიავ, ამაზე?—ჰკითხა ერთმა წრუწუნამ მეორეს.

— კაი ამბავია, სწორეთ კაი ამბავია! ძალა გვექონია თურმე.

და ის იყო გამარჯვება უნდა ეგალობნათ, რომ უცბათ მოესმათ ხმაურობა: ბიძია ზღარბი დანახეს სულ ახლო, სულ ახლო, სულ რამდენიმე კოჯსე უნდა გაეგლო. ის ისეთი საშინელი იყო! რაღაც ეკლიანი შესასარი ქმნილება! ეკლიან ზურგზე ჩასობილი ჰქონდა ვაშლები, მსხლები, ფოთლები, მხარ-



# ვინ ვის აჯობა?

ზე თოფრაკი ჩაშოკიდანა გატენილი გემრიელი ფეს-  
ვებით, კარტოფილით, მოცვით. ის შედიდურათ კომს



ბაღსე დაბჯენილი შობაჯბაჯებდა და თან ჩიბუსს  
აბოლებდა.

— შეგვიბრალეთ! შეგვიბრალეთ! დაიწრიბინეს თაკვებმა, დასუჭეს თვალები და მიწასე გაიშლარათენ.

ბიძია ზღარბი ძალზე გამძღარბი იყო და თავ-  
 ვებს სუძრობით უჩრბა:

— დაძცადეთ, დაძცადეთ, ახლავე შეგჭამთ!

ბიძია ზღარბი გულში კი ძალიან კძაეოფილი  
 დარჩნა, რომ იძის წინ თრთოდენ, კანკალებდენ.

— აგრე კი ნუ მიეურებთ, მე სასტიკი ვარ,  
 თქვა ძან და უნდოდა თავის გზასე წასულიყო, ძავ-  
 რამ უცბათ შიძის ზარბი დაეცა.

საძიძარბა გველმა ხის იქით თავი ასწია და  
 დანისინინა.

— შემობრალე! შეჭვევირბ ახლა ბიძია ზღარბმა,  
 ბოდის ვინდი თქვენ წინაძე, ბატონო ჩემო! გვეგ-  
 დრებით, ნუ განრინსდებით, ნუ დამღუძავთ, დიდებულო  
 გველო! ოჯახი ძაქეს, ცოლ-შვილის ჰატრონი ვარ!

— ვერ წამიხვალ, შეგჭამ, დანისინინა გველმა.

და ის იყო უნდა მივარდნოდა შიძით დაბნეულს  
 ზღარბს, რომ უცბათ თავზე ვილაძაც ჯონი დასცნო.  
 გველი უსულოთ გაიშლაროთა. ჯონის ჰატრონმა კაცმა  
 ძეგდარბი გველი ჯონითვე ასწია და სახლში წაიღო.

ბიძია ზღარბი გონს მოვიდა. გაჯავრებულმა გა-  
 დააფურთხნა და თქვა:

— დასწეველოს დძერთმა, რა რიგ შემაძინა,  
 ახია იძასეგ, მოხვდა თუ არა! ხომ არ ვეგონე, რომ  
 დავებრეუვებინე.



ვინ ვის აჯობა?

მერე სუძრობით შესძახა თაგვებს:

— დამაცადეთ, ახლავე შეგჭამთ!

და გასწია თავის გუნახე.

თაგვებმა ახლა კი ახსილეს თვალები და თავისუფლათ ამოისუნთქეს:

— ძლივს არ მოვიძორეთ ეგ ეკლიანი მასხარა!. ახლა აღარაფრისა არ უნდა გვემინოდეს... შემოვმასხოთ გამარჯვებამ.

ამ დროს უკვე დამშვიდებულმა სვლიკმა სოროს დან თავი გამოჰყო და თავისი ბასრი კბილებით თაგვებს სათითაოდ უკბინა კუდზე.

— მე თქვენ გაგორიგებთ საქმეს, უსრდელებო, ეველას რომ ფეხებში ედებით!

— ვაი ჩვენი ბრალი! დაიწრინინეს თაგვებმა და ერთ წამზედ გაჭქრენ.

— აბა ჩემსავით გამბედავი და მარჯვე უნდა იყოს ეველა, დაიკვესა სვლიკმა და თან თვალი სოროსკენ ეჭირა, — მხოლოდ მე და ის კაცი დავრჩით გამარჯვებულნი. ასეთია გულადობა! მე ვკონებ, რომ ვჯობივარ კიდევ იმ კაცს! დიაღ, სწორეთ რომ ვჯობივარ! და თავმოწონებით შეძვრა სოროში.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი).

## რიკვი-ტიკვი-ტავი.

(დასასრული)



ავიონა თუ არა რიკვი-ტიკვიმ, რომ ისინი თავლას გამოძორდენ და ვიწრო ბილიეს ამოჭყევენ—მაშინვე ნესუნარისკენ მოჭყურცხლდა. იქ, კედლის ძირში, მზისაგან გასურებულ თივაში, რომელიც ნესუებს ეუბრა, მან ხელოვნურით დაძაღული ოცდა-ხუთი კვერცხი იპოვა; ბანტამის ქათმის\*) კვერცხისოდენა იუვენ, მხოლოთ სეჭუჭის მაგივრათ თხელი და გამსჭვერი, მოთეთრო კანი ჰქონდათ.

— სწორეთ რომ დროზე მოვასწარი!—წაილაზარაკა რიკვი-ტიკვიმ, როცა კანს შიგნით ჭიებისავით დაგორვალეებული ახალგაზდა კობრები დაინახა; რადგანაც კარვით იცოდა, რომ კვერცხიდან გამოიჩეკება თუ არა, კობრას ერთი კბენით კაცის მოკვლაც ადვილათ შეუძლია და იქნემონისაც. თავისი ბანრი, მწვეტიანი კბილებით ის საჩქაროთ მოჭყვა კვერცხუბის კლეჯას და ფლეთან, თან შიგნიდან გამოგორე-

\*) ჩვენებურ ქათამზე ცოტა უფრო პატარაა.



რიკი-ტიკი-ტავი

ბულ კობრებს ოთხივე თათებით სრესდა და დრო გა-  
მოძვებით თივას იქით-აქეთ აბრუნებდა, კიდევ სომ  
არ დამრჩა შიგ კვერცხებიო; სამი კვერცხის მეტი  
აღარსად ჩნდა მთელი და რიკი-ტიკი თავის გულ-  
ში მსიარულათ იცინოდა, როცა უეცრად დარწის ცო-  
ლის სმა მოესმა; ფრინველი გამწარებული სმით ჰკი-  
ოდა:

— რიკი-ტიკი, რიკი-ტიკი!.. ნაკენა სახლის-  
კენ წავიტუეუ... აივანსე ავიდა და... ოო, მოდით, მა-  
ლე მოდით, რიკი-ტიკი... მოკვლას უზირობს, მოკ-  
ვლას!..

რიკი-ტიკიმ ორი კვერცხი გასრისა, მესამეს  
ზირი წააგლო, ნესუნარიდან გამოხტა და ისარივით  
გაფარდა სახლისაკენ.

ტედდი, მისი ძამა და მისი დედა აივანსე იჯდენ,  
სასაუშმოთ მაგიდას გარშემო; მაგრამ რიკი-ტიკიმ  
დაინახა, რომ არც ერთი მათგანი არაფერს არ სჭამ-  
და; ისინი ისე უძრავათ იყვნენ, თითქო გაქვავებუ-  
ლიყვნენ, და სახე სამივეს მთლად გაფითრებული  
ჩქონდათ; ნაკენა ჭილობზე მოგორვალელებულიყო, ტედ-  
დის სკამის სიახლოვეს, ისეთ მანძილზე, რომელიც  
უფრო ემარჯვებოდა მისი ტიტველი წვივის მისაწე-  
დომად, კისერს და თავს იქით-აქეთ არწევდა და გა-  
მარჯვების გალობას სისინებდა.

— ნაკის მოძველები კაცის შვილო, — სისინებ-  
და ის, — არ გაინძრე. აგრე იყავი... ჯერ მხათ არა



ვარ, ცოტა მოითმინე... იუავით აგრე გაქვავებულს, უძრავათ საძივე... თუ განძრევით—მაშინვე ვუკებენ... და თუ არ განძრევით—მაინც ვუკებენ, მაინც...ოო, თავსედებო, ჩემი ნავის მკვლელებო!..

ტედდის შიშით გაფართოვებული თვალები ძამა მისს მიშტერებოდა, ძამა მისი კი სულ ჩურჩულით უძეორებდა:

— არ განძრეთ, ტედდი, არ განძრეთო.— სხვა ვერა მოქსერსებინა რა. აი. სწორეთ ამ წამს მოვარდბ რიკვი-ტიკვი და ხმა მადლა დაიუვირა:

— აქეთ მოისედეთ, ნაგენა, აქეთ მოისედეთ და თავი დაიცავით!

— ევლაფერს თავისი დრო აქვს!— დაძვიდებით მიუგო ნაგენამ და ჰატარა ვაჟისთვის თვალი არ მოუმორებია— მალე თქვენც გავისწორდებით, რიკვი-ტიკვი; ახლა კი თქვენ მეგობრებს ქესედეთ. რა უძრავათ არიან!.. რა გაფითრებული სასკები აქვსთ!.. რა ეშინათ!.. განძრევაც კი ვერ გაუბედავთ!.. არ მომიანსლოდეთ, რიკვი-ტიკვი, ნაბიჯი არ გადმოდგათ ჩემსკენ თუ არა ვეძგერები!

— წადით, თქვენი კვერცხები ნახეთ, ნაგენა, — დაუფვირა რიკვი-ტიკვი, — ნახეთ თქვენი კვერცხები ნუსუნარში, კედლის ძირში.

ამ სიტყვების გავონებაზე ვეებართულა გველი შეკრთა, ნახევრათ მოტრიალდა და აივნის იატაკზე თავისი კვერცხი დაინახა.



— აა-ა! — დაიკვნესა მან. — მოძეცით, მოძეცით აქ!

რიკვი-ტიკვიმ კვერცხს თავისი ორი ზატარა წინათათი შემოჭვია; მისი თვალები სისხლსავით გაწითლებულიყვნ.

— რა ფასს მოძეცით კველის კვერცხში?.. — დაიწყო მან. — ახალგაზდა კობრაში?.. ახალგაზდა მეფე-კობრაში?.. ერთათ ერთში, უკანასკნელში, უკანასკნელთა-უკანასკნელში?... ვეულა დანარჩენებს ჭიანჭველები შეექცვიან ესლა მიწაზე, ნესვების კვერდით...

ნაკენა თოფ-ნაკრავით შემოტრიალდა; ახლა მას ვეულაფერი დავიწეებოდა, ვეულაფერი იმის გარდა, რომ თავისი უკანასკნელი, თავისი ერთათ-ერთი კვერცხი უნდა გადაერჩინა; და რიკვი-ტიკვიმ დანახა, რომ ტედდის მამამ საჩქაროთ განაშვირა თავისი დიდი სელი, ჩაეჭიდა ტედდის მხარში, აიტაცა ზევით, ჭურჭელით მოფენილ სუფრას გადმოავლო და შორს გადასვა, ისე შორს, რომ ნაკენა ვეულარ მიწვდებოდა.

— წავიხდა, წავიხდა, საქმე! რიკვი-ტიკვი-ტიკვი-ტიკვი-ტიკვი! — დასძახა აღტაცებით რიკვი-ტიკვიმ — ბავში გადარჩა, და ნავი კი მე მოვუბლი, მე, მე, მე!.. მე ჩავაფრინდი წუსელი ვაბალანში, ტანსაბან ოთანში, მე, მე!..

და რიკვი-ტიკვიმ, ოთხივე თათით ერთათ, ძაღლად-ძაღლად სტომა დაიწყო, წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, ყოველი მხრით; მირს რომ ეძვებოდა — თავს იატაკს აკარებდა, მერე ისევ სულ უფრო და უფრო ძაღლად სტოდ.

— ბევრი მაქნია და მაჯანჯვალა, ბევრი მასუთქა იქით-აქეთ, მაგრამ ვერ მომიცილა, ვერს!.. კაცმა როდესაც ორბთ გაჭრა, ის კიდევაც მკუდარი იყო!.. მე მოვკალი, მე!.. რიკვი-ტიკვი-ტიკვი-ტიკვი-ტიკვი! აქეთ, ნაგენა, აქეთ მოდით და ვიბრძოლოთ! დიდ-ხანს არ დაგტოვებთ ქვრივით, ნუ გეშინიათ!

ნაგენამ დანახა, რომ ტუდდის ვერაფრით ვეღარ მოჰკლავდა, მისი კვერცხი კი რიკვი-ტიკვის თათებს შორის იყო.

— მოძეცით კვერცხი, რიკვი-ტიკვი, მოძეცით ჩემი უკანასკნელი კვერცხი და წავალ აქედან! — უთხრა მან რიკვის და ყაბალასი ჩამოიწია. — წავალ და აღარასოდეს არ დავბრუნდები.

— ჰო, წასვალთ და აღარ დაბრუნდებით, — მიუგო რიკვიმ, — აღარ დაბრუნდებით, რადგანაც ნესვსე წასვალთ თქვენც, ნაგის კვერდით. თავი დაცივავით, ქვრივო! კაცი თოფის მოსატანად წავიდა! თავი დაცივავით.

რიკვი-ტიკვი, გაწყენილებული, ნაკვერცხლებსავით ანთებული თვალებით, სულ ნაგენას გარეშემო სტოდა, იმდენათ კი არ უახლოვდებოდა, რომ ნაგენას მისი მიწვდომა შეძლებოდა; უცებ ნაგენა მოგორვალდა, მერე ერთბაშად გაიშალა და რიკვისაკენ გაექანა; რიკვი-ტიკვი მალა ახტა და უკან, შორს გადახტა; ერთხელ კიდევ, მერე კიდევ და კიდევ მოინდომა ნაგენამ მას თავით ძვერებოდა, მაგრამ ყოველ მოქმევასე მისი თავი აივნის ჭილობს ესეთქებოდა, და ის



სელახლავ გორგოლავდებოდა როგორც უსახლანო  
სათის ბორბალი; ძერე რიკვი-ტიკვიმ მის ირგვლივ  
ცეკვა დაიწყო, რომ უკან მოქცეოდა, ნაკენა კი ერთ  
ადგილზე ატრიალდა, რომ ეოველ-წამს რიკვისაკენ  
თავი ქეონოდა მიშვერილი... და მისი კუდი ჭილობ-  
ზე ისე შრიალებდა, როგორც დამჭენარი ფოთლები,  
რომლებსაც ქარი აქრიალებს

კვერცხი ისევე აივანზე იდგა; რიკვი-ტიკვის ის  
სრულებით დავიწეებოდა, ნაკენა კი ხელახლა, შე-  
უმჩნევლად უახლოვდებოდა მას; უეცრათ, სწორეთ  
იმ დროს, როცა რიკვი-ტიკვი ერთი წამით შეჩერდა  
რომ სული მოეთქვა, ნაკენა კვერცხს მივარდა, მი-  
რი წახვლო, ავალის დახამსამებაზე აივანს კიბეზე  
დაეშვა და ბადის ბილიკზე ელვის სისწრაფით გას-  
რიალდა.



რიკვი-ტიკვი უკან გამოუდგა. მას კარგათ ეხმოდ  
და, რომ, თუ ახლა ვერ დაეწეოდა, ძერე მთელი  
ბრძოლის სელ-ახლავ დაწეება დაჭირდებოდა, ამიტომ  
რაც ძალი და ღონე ქეონდა, ისე მიქეოდა. ნაკენა  
ჰირ-და-ჰირ იმ ძალა ბალახებისაკენ მიემურებოდა,  
რომლებიც დარწის ეკლიან ბუჩქნარს გარს ეხვია. და  
გაქანებულ რიკვი-ტიკვის დარწის მსიარული სიძლე-  
რა მოესმა, დილანდელი სულელური გამბრჯვების  
სიძლერა. მაგრამ დარწის ცოლი, ქმარზე ბევრათ  
უფრო გამჭრინდი, სახეაროთ გადმოფრინდა ბუდიდან  
და შედ ნაკენას ცხვირთან დაიწყო ფთქრიალი. დარ-



ზიც რომ დახმარებოდა—უსათუოთ გზას ახსვევინებ-  
 დენ ნაგენას, ახლა კი ნაგენამ მხოლოდ უბაღასი  
 ჩამოიწია და თავისი გზა სულ სწორათ განაგრძო.  
 მაგრამ ამ ერთი წუთის შეჩერებით ისარგებლა რიკკი-  
 ტიკკიმ, ის დაეწია სწორეთ იმ წამს, რა წამსაც ნა-  
 გენა ვირთხის სოროში შესრიალდა, დიდ სოროში,  
 რომელიც მას და ნავს დაესაკუთრებინათ,—რიკკი-  
 ტიკკის ბასრი თეთრი კბილები მის კუდს ჩაეჭიდენ  
 და კუდმა ისიც სოროში ჩაითრია. იშვიათი იქნემო-  
 ნი, რაც უნდა სწიერი და გამოცდილი იყოს, გაჭბუ-  
 დავს და კობრას მის სოროში შეჭეუება. სოროში ბნე-  
 ლოდა; და რიკკი-ტიკკიმ არ იცოდა, თუ სორო მა-  
 ლე არ გაფართოვდებოდა; სოროს გაფართოება კი  
 მისთვის აუცილებელ სიკვდილს მოასწავებდა, რად-  
 განაც ნაგენა მაშინვე შემოტრიალდებოდა და საკბე-  
 ნათ ეტაკებოდა. მაგრამ რიკკი-ტიკკი ეველა ამასე  
 არ ფიქრობდა; გაბრაზებულს, მას მაგრათ ჩაესო კბი-  
 ლები ნაგენას კუდში და უკანა თათებს რაც შეეძლო  
 იქით-აქეთ ზარჭყავდა, რომ სოროს ნოტიო და სრი-  
 ალა დაღმართზე თავი შეემაგრებინა.

ცოტა ხანს შემდეგ სოროს ზირს გარშემო აშარ-  
 თულმა ძაღალმა ბალახებმა რსევა შესწევითეს, და  
 დარწმინდ მწუნარეთ თქვა:

— დაიღუპა რიკკი-ტიკკი! სიკვდილის გალობა  
 უნდა ვუძღვროთ ახლა! მოკვდა გულადი, მხნე და მა-  
 ძაცი რიკკი-ტიკკი! ნაგენა მას სიკეთეს არ დააუღის

მიწას ქვეშ!—და დარწმინდ ნადვლიანი, სევდით სავსე გალობა დაიწყო, გალობა, რომლის სიტყვებიც ის იყო აღელვებულ გულზე შეეთხზა. მაგრამ როდესაც ის ამ გალობის საუკეთესო, გულსაკლავ და გულ-დამწვავ ალავს უხსლოვდებოდა—ქალბლი ბალახები სოროს გარშემო სელახსლავ შეიწინა და რიკი-ტიკი, მთლათ მიწაში ამოგანგლული, სოროდან ნელ-ნელა, უღვანების ლოკვით, ამოძვრა. დარწმინდ გალობა შეს-წვიტა და გაკვირვებით შეჭკივლა. რიკი-ტიკიმ თავისი ბეწვის ქურქი გაიფერთხა და ცხვირს დააცემინა.

— გათავდა! — თქვა მან. — ქვრივი აღარადეს აღარ ამოძვრება სოროდან.

ამ სიტყვების გაგონებაზე წითელი ჭინჭველები, რომლებიც ბალახებს შორის ცხოვრობენ, მწუობრათ, დიდი რაზმებით ჩაეშვნ სოროში, რომ ენახათ, მართლს ამბობდა თუ არა რიკი-ტიკი.

რიკი-ტიკი მურგვსავით დაიხუა და იმწამსვე იქვე, ბალახში, დაიძინა; და იძინა, იძინა, იძინა მანამდის, სანამ მზემ სულ არ გადიხარა ცაზე, იძინა ღრმათ და გემრიელათ, რადგანაც ამდენ შრომას შემდეგ დიდ დაღალვას გრძნობდა.

— ახლა კი, — თქვა მან, როცა გაიღვიძა, — ახლა სახლში წავალ. უთხარით მექვანბე-ჩიტს, დარწმინდ, რომ ნაგენა მოკვდა. მთელ ბაღს ახაროს ეს ამბავი.

მექვანბე-ჩიტს ასე მიტომ ეძახიან, რომ ის ყო-



ველთვის ისე სმაურობს, თითქო სწილენძის ქვაბს  
 ჰატარა ჩაქუჩს ურტყამდეს; და თუ ის ყოველთვის  
 ასე სმაურობს, ეს იმიტომ, რომ ის ყოველი ინდო-  
 ელი ბადის მოაძბე და მასწარობელია, ეველას, ვინც  
 კი ყურს უგდებს — ყოველ ახალ ამბავს ატყობინებს.

ბილიკს რომ მიჭეკებოდა, რიკვი-ტიკვიმ კიდევ  
 გაიგონა მისი სმა; ჩიტო-მეჭებაზე ჩვეულებრივათ სწი-  
 ლენძის ქვაბს ჩაქუჩს ურტყამდა და ზედ ერთ-ფერ-  
 ვანი სმით აყოლებდა: დინგ-დონგ-ტოკ! ნაგი მოკვ-  
 და... დონგ! დინგ-დონგ-ტოკ! ნაგენა მოკვდა .. დონგ!  
 დინგ-დონგ-ტოკ! დინგ-დონგ-ტოკ! დინგ-დონგ-ტოკ!  
 დონგ... დონგ! ამ ამბის გაგონებაზე ეველას ფრინ-  
 ველებმა მსიარული ჟრიაძული ატყეს მალა, ბადის  
 სკებში და ეველას ბაყაყები აღტაცებით ავიყინდენ  
 ძირს, წყალში; რადგანაც ნაგს და ნაგენას ჩვეულებ-  
 ბათ ჰქონდათ ფრინველები და ბაყაყები განურჩევ-  
 ლათ ეჭამათ.

როდესაც რიკვი-ტიკვი სახლს მიუახლოვდა, ტედ-  
 დი, ტედდის დედა, (ის ჯერ კიდევ სულ ფერწასული  
 იყო, რადგანაც დილას გული შეწუხებოდა) და ტედდის  
 მამა მის შესაგებებლათ გამოვიდნენ და გულანჩხვილე-  
 ბულებმა თითქმის იტირეს მის დანახვაზე. იმ საღა-  
 მოს რიკვი-ტიკვიმ ეველაფერი ჭამა, რაც კი უთავ-  
 ზეს, იმდენი ჭამა, რამდენიც კი შეიძლო, და მერე  
 ტედდის მხარზე შესკუპული, დასაძინებლათ გაემგზავ-  
 რა. როცა ტედდის დედა, ღამე, შვილის დასათვალი-

ერებლათ მის ოთახში შევიდა, რიკი-ტიკი ბალიშზე დასვა, დაძინებული.

— ჩვენც ვაღკვარჩინა სიკვდილს და ჩვენი შვილიც! — უთხრა მან თავის ქმარს. — წარმოგიდგენიათ ეს? ეველა სიკვდილისაგან გვახსნა!

რიკი-ტიკის იმავე წამს გამოეღვიძა, რადგანაც იქნემონებს ეოველთვის მარტო ცხელი ეურით სძინავთ.

— ო, თქვენა ხართ? — თქვა მან. — რა ვაწუხებთ, რისი გემინიათ? ეველა კობრები მოკვდენ. და კიდევ რომ დარჩენილიყოს ზოგიერთი... ძე ხომ აქა ვარ!

რიკი-ტიკის სრული ნება ჰქონდა, რომ თავი გამოეღვა და განაძარტავებულიყო, მაგრამ ის ნამეტანი არ გადიდგულეკულა; და იმ დღიდან დაწეებულა დიდ ბაღს ისე უვლიდა, როგორც ნამდვილ იქნემონს შეეფერებოდა, უვლიდა ისე კარგათ, რომ ერთ კობრასაც კი ველარ გაუბედავს შიკ თავისი ცხვირის შეყოფა.

ელ. წერეთლისა.

(თარგმანი)





# გ ა ს ა რ თ რ ბ ი .



— მიხვეწე, ვე რა  
გიჭირავს ხელში?



— ეს ერთი ვაშლი  
მაქვს, მეტი არა!  
— მეც მაჭამე!



— დაითვაბლე ათი  
თითებზე და მაშინ ვა-  
ჭმევ ვაშლს!





8.



— ერთი... ორი...

სუთი... შვიდი...

5



— აგრე არა, კარ-

გათ დათვალე, თუ გინ-

და რამ მოგცე ვაშლი.

6.



— უეურე, ათი და-

ვითვალე, გავათავე...

— მეც გავათავე,

აღარაფერი მაქვს!




— დამცა, წავალ,  
დღას ვეტევი!

— რა ვენა, თუ  
გინდა დამბეჭდე!





## არ მიფიქრნია!



ინიკო! სოფელში ხომ არ გეგულება იმისთანა დედაკაცი, რომ ხელზედ მოსამსახურობა იკისროს და ხანდისხან ყური უგდოს ჩვენ პატარა ილიკოს? იმის გამდელი, ისე მოულოდნელად დაიბარეს სახლში, ძმა მოჰკვდომია, საწყალს, რომ ახლა არ ვიცით რა ვქნათ, ბავშს როგორ მოუაროთ.

ასე შესჩიოდა პავლე ნუსხელაშვილი მებადეს, რომელიც ყურს უგდებდა იმ სახლს და ბაღს, რომელშიაც ეს თავის ოჯახობით დასახლდა ამ ზაფხულობით.

— დედაკაცი?! რატო, რატო არ იშოვება! ახლა ისეთი გაჭირვება გახლავთ სოფელში, რომ ფულისათვის ვინ არ წავა, თუნდ ხელზედ მოსამსახურეთ, თუნდ გამდლათ და თუნდ უარესადაც! გაჭირვება რას არ აკისრებინებს კაცს, შენი ჭირიმე!

— გუშინ მამასახლისმა სამი სოფლის მცხოვრებნი, კომლზედ კაცი დაიბარა და გამოუცხადა: ექვსასი თუმანია თქვენზე ყაზახების გამოსაკვები და აბა ჩქარა გამოსჩხრიკეთო... კვამლზედ რვა-რვა მანათი შეგვხვდა და აბა თუ არსად დავგირავდით, რვა მანათი საიდგან გავაჩინოთ!..—ნელა-ნელა და მწუხარის კილოთი ლაპარაკობდა ნინიკა.



— დაგირავება რა საკადრისია, ჩემო ნინიკა, თანაგრძნობით უთხრა პავლემ მებაღეს. ჯამაგირს კარგს მივცემთ, ტანთაც ჩავაცმევთ, კარგს ვასმევთ და კარგს ვაჭმევთ. მოქცევი-თაც კარგად მოვექცევით. ჩემი ცოლი კეთილი დედაკაცია და ტყუილად არავის აწყენინებს. ი საბეგრო რვა მანეთს ერთ თვეზედ გადაიხდის.

— ჰმ, ჰმ! მართალს ბრძანებ, სწორეთ რომ ღვთის წყალობა იქნება, იმ უბედური მართასთვის! და თუ ღამდამობითაც ნებას მისცემთ შინ წასვლისას...

— მეტი რა გზაა, თუ იმისთვის ღამეობით შინ წასვლა აუცილებლად საჭიროა.

— დიახ, საჭიროა, ბალღები ჰყავს.

— ბალღები?! მერე იმათი თავის დანებება როგორ შეიძლება, იმათი პატრონი ვილა იქნება? შეწუხებული შეეკითხა პავლე ნინიკას.

— იმათი პატრონი?! ჰმ! მწარედ ჩაიციხა მებაღემ... ღმერთი, შენი ჭირიმე, ღმერთი!

— ღმერთი კი, მაგრამ, უდედოთ როგორ შეიძლება...

— დაჩვეულები არიან, ბატონო! იმათი დედა, სულ ერთია, ყოველ დღე სამუშაოზედ დადის, შვილების მოსავლე-ლად არა სცალიან, იმათ ლუკმის საშოვნელად დარბის... საღამოობით თუ დაითხოვთ, იმის შვილებს ისიც ეყოფათ მოსავლელოდ.

\* \*  
\*

— შვილო, ადექი, გენაცვალოს დედა. მე უნდა წავიდე. სახლი დაგავე, წყალი მოიტანე და მერე კი მთელი დღე შინიღგან კარზედ არ გაიხედო. გესმის, ბავშს თავი არ დაანებო. ვანუა აკენიღგან არ გადმოაგდო, ნელა-ნელა გადმოიყვანე და როცა ძრიელ იტიროს, აი ეს სტაქნით რო რძე დგას, დააღვეინე. შენ კი არ დალიო, სულმა არ წაგძლიოს, ან ნიკომ არ დალიოს. თქვენ, აი ეს პური და ხახვი ჭამეთ. შუა დღისას ჩვენებიანთ მაიკოს მიუყვანე ბავშვი, ძუძუს მოაწოვებს. საღამოზედ მე მოვალ და შექამადს გაგიკეთებთ რასმე.



ასე ელაპარაკებოდა და არიგებდა მართა თავის ცხრა წლის ქეთოს და თან გულის კვნესით ფიქრობდა: „რა უნდა იყვეს ცხრა წლის გოგოს გამძღობა და სახლის პატრონობა, მაგრამ რა ვქნა, რა ვქნა! თუ ზაფხულში არ გავისარჯე, ზამთრის ლუკმა არ მოუშაადე, ბეგრის ფული არ გადვიხადე... მეტი გზა არ არის, შვილები ღვთის ამარა უნდა დავეყარო და ნინიკას რჩევა უნდა მივიღო... ორი თვის ჯამაგირი—თექვსმეტი მანათი, ჩემთვის მთელი თანხა... თუ კიდევ ჩამაცმევინ რასმე, ეს ხომ ხვთის წყალობა იქნება და თან მართამ თავის დაკონკილ კაბაზედ დაიხედა, მერე თითებ გამოყოფილ ჩუსტებს ჩაავლო თვალი და გულიანათ ამოიოხრა... „იქნება შვილებსაც ბავშვის ნაცმები მისცენ, იქნება“... აქ მართამ ფიქრები საჩქაროთ შესწყვიტა, წამოხტა, ბავშვები გადაჰკოცნა, მეტადრე რვა თვის ჩატკრუცული ვანუა მიიკრა გულზედ და მერე საჩქაროდ გავიდა სახლიდამ.

მართა შეუდგა იმ აღმართს, რომელზედაც ლამაზად წამოკიპული იყო ორ სართულიანი სასახლე, ნუსხაშვილის საზაფხულო სადგური.

ლამაზი იყო ეს საზაფხულო სადგური. სუფთა, გემოვნებით ნაგები, შუა ბაღში, გარს დიდროვანის კაკლებით შემორტყმული; კარებს წინ მშვენიერის შადრევნით და ყვავილებით. მეტადრე ზემო სართულის ბალკონიდგან გადასახედი იყო საოცნებო. თვალ გადუწვდენელი მინდორი, ქალებით და პატარ-პატარა სოფლებით აქრელებული, რომლის ბოლო შთაინთქმებოდა შორს სადღაც ცის სივრცეში.

თუმცა ძრიელ ადრე იყო, ის ის იყო მზემ ამოყო თავი და მხიარულად მიანათა თავისი ბრწყინვალე შუქი ნუსხელანთ ბალკონს, მაგრამ ნინო და პავლე უკვე ზეზე იყვნენ და დიდის ვაი ვაგლახით აცვემდნენ თავიანთ ნებიერს, ორი წლის ილიას.

— გენაცვა, ე, ბაშმაკი მამაწოდე, ტირილის კილოთი ეუბნებოდა ცოლი ქმარს...—ფეხი დაუჭირე, ამ ონავარს, რო ჩულქი ჩავაცვა, ხომ ხედავ ხელში ვერ დამიმაგრებია!—ღმერ-



თბანი ამის მეტი აღარ შემძლიან, თუ დღესვე დედაკაცი არავინ მოვა, წყალში გადავარდები!

— რა არის, ნინუსაჯან, რა დაგემატა, ერთი ბავშვისთვის როგორ ვერ მოგივლია! მაშინ რაღა გეშველება, როდესაც ოთხი და ხუთი გაგიჩნდება.

— რას ამბობ, გენაცვა, რას! როგორ თუ ოთხი და ხუთი! ჯვარი შწერია ქრისტესი, ამ ერთმაც ლამის გამაგიჟოს...

ამ უცნაურ ბაასში და მდგომარეობაში იყვნენ კოლქმარნი, როდესაც კიბეზედ ავიდა მართა და მოკრძალებით გაჩერდა კარებში.

ნინომ გაკვირვებით შეხედა პატარა, გამხდარ და ჭუჭყიან ტანისამოსში გახვეულ დედაკაცს, რომელსაც თაღის თავმოსახვევით მთლად დაფარული ჰქონდა თვალები დანახევარი პირისახე.

— შენ ვინა ხარ? რა გინდა? შეეკითხა ნინო მოსულს და ბავშვი საჩქაროდ ქმარს გადასცა.

— მე? მე, ბატონო, მართა ვარ, ოხერაანთ რძალი... ნინიკამ მითხრა რომ... ხმის კანკალით, თავჩაღუნულმა წაილულლულა მართამ და ვერ გაათავა, ტირილმა ჩაუწყვიტა ხმა.

— ნინიკამ გამოგზავნა? მაშ შენა ხარ ის დედაკაცი, რომელიც ჩვენი ილიკოს მოვლას კისრულობს? საჩქაროდ ჩვერია პავლე ლაპარაკში და დეჩქარა ბავშვი გადაეცა კოლისთვის.

— დიახ, მე ვარ, თუ...?

— შენა ხარ? მერე ვგრე ჭუჭყიანი, ხელებ დახეთქილი, ფეხ შიშველი...

— ნინა! რუსულად უთხრა ქმარმა ნინოს.— როგორ არ გრცხვენიან, რომ საწყალ დედაკაცს მაგეებს ეუბნები. კიდევ იმიტომ მოდის ჩვენსა, რომ გაჭირვებულია, თორემ შვილებს რად დაანებებდა თავს.

ნინო პატარა ხანს იყო ჩაფიქრებული და ზიზლით შეკყურებდა ამოწუწულ მართას, მაგრამ მალე დასძლია გულის სიკეთემ იმისი განებივრებული მოთხოვნისგან და დედაკაცს ტკბილად უთხრა:— აბა თვალები მაჩვენე, ხელ სახოცი გადიწიე. ბებერი ხარ თუ ყმაწვილი, როგორ შეგატყო.

მართამ მორცხვად აიღო თავი მალლა, თავშალი ცოტათი გადიწია და მშვენიერი შავი, კეთილი თვალები, ცრემლებით საესე თვალები, შეანათა ნინოს.

ასე რამდენსამე ხანს იდგენ ეს ორი დედა ერთმანეთის წინ. ბოლოს ნინომ გაიღიმა და მართას უთხრა:

— კარგი, იყავ ჩვენსა! მე მომწონს შენი კეთილი თვალები, უეჭველად, ილოსაც შეუყვარდები და საჩქაროდ გავიდა მეორე ოთახში.

წამხედ გამოარბევინა თავისი განარნარებული თეთრი ჩითის კაბა, თეთრი თავზედ მოსახვევი, თეთრი წინსათარი და მართას მისცა—ახლა წადი, ხელობრი დაიბანე საპნით, თავი დაიბარცხნე, ჩაიცვი სუფთად და ილიკოს უპატრონე. მე ძრიელ დავიღალე. გაუთენებლივ გაგვადვიდა, ახლა მაგის ჩაცმა, პირის დაბანა, ჩაის დაღვეინება, სწორედ ხათაბალაა! ქეთო, ილოს ძიძა დაუფასებელი დედაკაცია ჩემთვის. ბავშვი ისე გამოზარდა, რომ მე მხოლოდ საკოცნელად და საალერსოდ ვხედავდი. იმედი საქვს, ამ ორ თვეს, მინამ ქეთო დაბრუნდება, მე და შენც დავმეგობრდებით.

— ვეცდები, ქალბატონო, მიუგო ნინოს ტკბილის ლაპარაკით დამშვიდებულმა მართამ.

\* \*  
\*

ნუსხელაშვილიანთ ქალაქიდან სტუმრები ეწვიენ. მთელი დღე იმათ სახლში ღზინი და სიამოვნება იყო. სადილი, ვახშამი, საუზმე, სეირნობა სოფლის გარშემო შემორტყმულ ტყე ველზედ, გახშირდა.

ილიკო განუმორებლად მართასთან დარჩა და მალე შეეწვია. თავას შვილებს გაშორებულმა მართამ მთელი თავისი დედობრივი ალერსი სხვის შვილს შემოავლო თავს. ლამაზი ვარდივით გაფურჩქნილი ილო, მზიარული, წმინდა წყაროსავით მოჩახჩახე სიცილით, გულში ეკროდა თავის ახალ გამდელს და ვაღიაც გულით უკოცნიდა დატკრუტულ ლოყებს.

ნინო სრულიად გულდამშვიდებული სტოვებდა მართასთან პირმშოს და სიხარულით ერთობოდა საყვარელ ტოლამხანაგებთან.



სლამოზედ, როცა დაღალულ-დაქანცული ილიკო გამომძლარი ნოყიერის რძით და სხვა-და-სხვა ტკბილეულობით, ჩაიძინებდა თავის გაფაფუკებულ საწოლში, მართაც გიჟივით გაჰკურცხლავდა ხილმე სახლისკენ, თავის უბატრონოდ დატოვებულ შვილებთან.

\* \*

მშვენიერი კათათვის სლამო იყო. მშემ დასაფლეთისკენ გადაიწია და სოფელს სასიამოვნო სიომ დაჰბერა და გაჰაჰანაქებული ჰაერი გააგრძლა. ნინო, პავლე და სტუმრები სასეირნოთ გამოვიდნენ.

— მოდი, ერთი ეს ჩვენ წინ გაშლილი სოფელი დავათვალიეროთ. უთხრა ერთმა სტუმართაგანმა მასპინძლებს. — ბევრს ლაპარაკობენ, სწორენ სოფლის გაქირვებაზე და ჩვენ კი ასე ახლო ვართ და ერთხელ შიგ არ შევიხედავთ.

— ძრიელ კარგი, ძრიელ კარგი! შეჰყვირა ნინომ.

— მე რამდენჯერმე განვიძრახე ამ „ნარეკლიანის“ დათვალიერება, მაგრამ როგორღაც ვერ მოვახერხე. იმის ქუჩუიანი, ზედი-ზედ მიყრილი ქოხები, ნავით სავსე გზები ყოველთვის მაშინებდნენ. ახლა კი სქვენთან ერთად, მხიარულ „კანპანიაში“, მზადა ვარ იმას გარშემოუარო და ყოველკუთხეში შევიხელო.

და ეს მორთულ-მოკაზმული, მხიარული, ქალაქიდან მოსული ქალი და კაცი სიცილ-ხარხარით მიუახლოვდა სოფელს და ცნობის-მოყვარეობით შეიხედა იმასმცხოვრებთა კერისკენ.

ზაფხულის გამო ყველა კარი ღია იყო და ყოველი ოჯახის ავლა-დიდება ერთის თვალის გადავლებით შეეძლო გეგზომა აღამიანს: პატარა ოთახი, რომლის ნახევარი გვერდი ეჭირა გრძელს და ვანიერს ტახტს, ტახტის ბოლოს აკეცილი, ლოგინი, კუთხეში რკინის დაქანგებული „ფეჩი“, ხის სტოლი ზედ პატარა ფეხებიანი სარკით, მასთან დანჯღრეული სამოვარი, წყლის კოკა, პურის კიდობანი და ქერში ჩამოკიდებული პატარა ქესტის ლამფა. ზოგან სახლი დაკრიალებულ-დაგვილი იყო, ზოგან, მართოდ დარჩენილ ბავშვებისგან, აქოთქოთებული, იატაკი ატალახებული, ლოგინი გაწეწილი,



ბლახ-ბულახით მოდებული. მამაკაცები არსად სჩანდნენ, დედ-დაცალები იშვიათად და მხოლოდ ბაღებს და გადასულ მოხუცებულებს დარჩენოდათ სოფელი.

სოფლის განაპირას, ერთი პატარა ქოხის წინ, რამდენიმე დედაკაცი შეყრილიყო და აღელვებით რაღასაც ლაპარაკობდნენ.

ჩვენი მხიარულნი ნაცნობნი ცნობის-მოყვარეობით მიუახლოვდნენ ამ ჯგუფს და აღელვების მიზეზი გამოჰკითხეს.

— იჰ! რაღა რა ამბავია, — აშფოთვებით უპასუხა ერთმა იქ მდგომმა დედაკაცმა, — კინალამ საშინელი ცოდო არ დატრიალდა! წყალსაც წაუღია ზოგიერთა დედაკაცი, შვილები აქ დაყარა უპატრონოდ და თითონ მორთულ-მოკაზმული სხვის სახლში დაფარფაშებს. ეს ეს არის მართას სამი წლის ბიჭი წყლიდან ამოვათრიეთ, ცოტა გაწყდა წისქვილის ღარში არ ჩაიტანა, უბედური.

— მართას შვილი, ოხერაანთ მართასი? — შეჰყვირა ნინომ და ფერმიხდილი შევარდა სახლში. იქ ცარიელ ტახტის ბოლოზედ მოკუნტული იჯდა პატარა ქეთო და გულზედ მიკრული ჰყავდა პატარა ვანუა, რომელიც საშინლად ჩხაოდა. ძველ ქუქყიან დოშაკზედ, წყალში გაძუქებული ქათამივით, სამი წლის ბიჭი ძაგძაგებდა და გარშემო შემოხვეოდნენ აუარებელი ბავშვები და სეირს უყურებდნენ.

ნინომ და იმისმა სტუმრებმა დიდი თანაგრძნობა გაუწიეს უდედოთ დარჩენილ ბავშვებს. საჩქაროდ რძეც გაჩნდა იმათი ფულებით, ახლად გამომცხვარი პურებიც, მაწოვარი დედაკაციც.

წამის შემდეგ მართას ქოხის შეხედულობა მთლად შეიცვალა. პატარა ვანუა გამაძღარი, მხიარულად ჭყიბინებდა ნინოს კალთაში, ქეთო კი ქალბატონის ბრძანებას ასრულებდა და თავის წვრილ და-ძმას ბუნხარში აბოლებულ ჩინჩხვარზედ ერბო-კვერცხს უწვამდა. სოფლის დედაკაცები კარებში იდგნენ და გაკვირვებით უყურებდნენ.

— ნეტა თუ ვინ არიან ეს დედ-მამა განათლებულნი, — ფიქრულგბოდნენ ერთი-მეორეს.

— ხედავ ლამაზ ქალბატონს, თავის ხელით უცვლილ სველ ტანისამოსს ნიკუას, თავის წამოსასხამს ახურავს.

— დაინახე, დაინახე, „კრუჩკას“ \*) როგორ ათვალისწინებს ი კნიაზი, სთქვა მეორემ. — როგორ დაიღრღიჯა, უთუოთ თავიანთ პეკერიალა ლამფასთან არ მოსწონს.

— დარუას ძუძუს მოსაწოვებლად ათი შაური მისცა! დაინახე ადამიანო? ჩურჩულითვე შეეკითხა მესამე დანარჩენებს...

საწყალი მართა! ფიქრობდა შინ დაბრუნების დროს ნინო. — რა გულით უნდა უვლიდეს ჩემ პატარა ილოს, როგორ უნდა შურდეს იმისი მადლობა, მორთულობა, სიცილ-ხარხარი, მაშინ როდესაც იმისი შვილები ტირიან, ტიტველ-შიშველნი, მშიერ-მწყურვალნი, უპატრონოდ ჰყრიან!

მე კი ამაზედ არ მიფიქრნია, არ მიფიქრნია!

— ხა, ხა, ხა! სიცილ-ხარხარით მოეგება კარებში დედას პატარა ილო და დაურღვია მწარე ფიქრები. მართა გულხელდაკრეფილი შეჰყურებდა იმათ ალერს და გაშტერებული სულს ხვავან იყო გადაფრენილი.

— მართა, სწორედ სთქვი, გიყვარს შენ პატარა ილო, მოულოდნელად შეეკითხა ჩაფიქრებულს გამდელს ნინო, თუ სწყევლი იმის დაბადების დღეს?

— ოჰ, მიყვარს, მიყვარს, ქალბატონო, ისე მიყვარს, როგორც ჩემი სული, მაგრამ...

— მაგრამ შვილები გირჩევენ... მესმის, მესმის! ამოხვრით სთქვა ნინომ და პატარა ილო კვლავ ჩაიკრი გულში. — დღეიდგან მხოლოდ მე ვიქნები შენი მომვლელი, ჩემო სინათლევ, და სხვებს დედებს აღარ წაეგართმევ.

\* \* \*

სალამოზედ, როდესაც მართა შინ დაბრუნდა, შვილები დაბანილ-დავარცხნილი, ოთახი დაგვილ-დაწმენდილი, კერაზედ სავსე ქვაბი რძე, კიდობანში რბილი პური, თაროზედ მქვარ-

\*) კრუჩკას, სოფელში იმასთანა ქესტის ნავთის ჩასასხმელს ეძახიან, რომელსაც ძლიერ წვრილი ყელი აქვს და შიგ გამაგრებულ პატრუქს უყიდებენ. უშუშოთ პატრუქი საშინლათ ბოლამს.



ტლიანი, „კრუჩკის“ მაგივრად გაჩირაღდებული ლამფა, დაუხვდა.


— ეს რა ამბავია? გაცვებით შეჰყვირა იმან. — ნუ თუ ჩემ უბედურობას ბოლო მოეღო და ჩემ ობლებს ღვთის განგებით მხსნელი გამოუჩნდა ვინმე!

შვილებმა, მეზობლებმა სუყველაფერი უამბეს, სუყველაფერი დაწვრილებით აუხსნეს და ის კი არ იცოდნენ, თუ ვინ იყვნენ ის კეთილნი და საიდგან მოვიდნენ.

მართა მიხვდა ვინც იქნებოდნენ, მაგრამ არაფერი არა სთქვა, გულში კი მაგრად ჩაიქდია ნინოსგან სხვა სიკეთესთან ესეც და დღევანდელი იმის სიტყვების აზრიც გაიგო.

— კეთილია, კეთილი! ის დალოცვილის შვილი! ღმერთო, მიეც დღევანდელი და სიხარული. მე კი ქვეყანა მართო გულქვა ადამიანებით მეგონა დასახლებული.

ექ. გაბაშვილისა.



## მ ა რ ჯ ა ნ ი.



ილი ხნის ამბავს მოგიყვებით, ეს მოხდა შორს ჩვენგან, ძალიან შორს, ღრმა ზღვაში, მერე ისეთ დიდ და ღრმა ზღვაში, რომლიდანაც გემს მოუნდებოდა კარგა ბევრი დღეები, სანამ მიაღწევდა დედა-მიწამდის. ამ ზღვის წყალი თბილი იყო, მაგრამ თბილი იყო ხოლო ზედა-პირზე, სადამდისაც მისწვებოდა მხურვალე მზე. ზღვა სიღრმეში ცივი იყო, ისეთი ცივი, როგორც ყინული და ისეთი ჩაშავებული, როგორც ბნელი ღამე. ზღვის სიღრმე ყოველგან ერთნაირი არ არის. ზოგან უფრო ღრმაა, ზოგან მალალი მთებია და ზოგან გაშლილი ვაკეები.

აი ამ ზღვაში იყო ერთი ადგილი, საიდანაც მალალი მთა აიმართებოდა თითქმის ზღვის ზედა პირამდის. ამ მთის ფერდობები მშვენიერი ტყით იყო დაბურული. ზღვის ტალღები არხვედენ ფოთლებს ისე, როგორც ქარი დედა-მიწაზე არხვეს ფოთლებს და ხეებს. ამ ზღვის ტყის ხეების მშვენიერი ფოთლები წყალს ხან აქეთ და ხან იქით მიჰქონდა. ეს ხეები ბევრათ უფრო მალაონი არიან ხოლმე ხმელეთის ხეებზე, მაგრამ ზღვაზე ზევით არ აღიან, იქ ერთ წამსაც ვერ გასძლებენ, უმაღლესკენდებიან ჰაერზე. როდესაც ზღვა დაწყნარებულია, ხეები თავისი ფოთლებით და ტოტებით ნაზათ ირხევიან და ტალღები მათ მშვენივრათ ათამაშებენ, ათას ფრათ დელავენ — გეგონებათ, შემოდგომაზე ტყეში შესულხართო, რა ფერებს არ დაინახავთ აქა: წითელს, ლურჯს, ყვითელს, მწვანეს, ყავის ფერს.

ამ ხეებ შუა დანავარდობენ მშვენიერი თევზები, როგორც ფრინველები ჩვენში ხის ფოთლებში და ტოტებში. მერე რა ოქროს და ვერცხლის ფერი თევზებია: აი ცის ფერი

თევი, აი წითელი სისხლივით; აი ზღვის ძღარბი - გაიბერა, გაიშვერა თავისი ეკლები და შიშის ზარსა სცემს ზღვის სხვა ცხოველებს.

ზღვის ტყე სავსეა სხვა და სხვა ცხოველებით. დახეთ, მშვენიერი ლოკოკინები. აგერა სიპინი, რომელიც მოძრაობს საოცარი სისწრაფით, კუდი წინ წაუგდია. იქვე დიდი კიბოები, რომელნიც ფეხებით მაკრატელსავით სჭრიან გზას. აგერ პრტყელი და გვერდ მოქცეული კიბორჩხალები, რომელნიც დაკურავენ აქეთ-იქით. დრო გამოშვებით გამოხტება მთელი ჯოგი კუებისა, რომელნიც სძოვენ ამ ზღვის ტყეში, როგორც ძროხები. აი ვეშაპიც, რომელიც გამოჩნდებოდა თუ არა, მაშინვე არე-მარე დაბნელდებოდა, თითქოს ღრუბელმა დაჰფარა მზეო. ეს რომ კუდს გაარტყავდა ხეებს, მთელი მთა შეინძრებოდა, თითქოს მიწის ძვრააო. ხანდისხან ამ ზღვაზე გავლილ გემს შეათამაშებს ზვირთები. ვაი იმ მეზღვაურს მაშინ, რომელიც ჩაფარდება წყალში, საშინელი ნათელ-თევზა გადაჰყლაპავს მას ერთ წამში.

ლამაზია ეს ტყე, მაგრამ სამარისებური სიჩუმე სუფევს იქ. არც ერთი ცხოველის ხმას ვერ გაიგებთ. ამ ტყის შუა გულში, ერთი ლამაზი და ღია ადგილი იყო. წყალი შიგთბილი იდგა და იშვიათად თუ ვინმე გამოჩნდებოდა იქ. ოთხი პატარა ცხოველი ყოველ ცისმარე დღეს თამაშობდნენ ამ წყალში. მხიარულად ატარებდნენ დროს, ცელქობდნენ. ეს ცხოველები ისეთი პატარები იყვნენ, რომ თვალთ კაცი ვერ გაარჩევდა და თუ ვინმე დურბინდით მიუახლოვდებოდა მას, ბუნების მეტყველების დიდი მცოდნე უნდა ყოფილიყო, რომ გავგო რა ცხოველებია ესენი. ამათ არც ერთს არ ჰქონდათ არც თავი, არც თვალები და არც სხვა ისეთი რამე, რაც საჭიროა ყოველი ცხოველითვის და ამიტომ ისინი ძალიან განირჩევიდნენ სხვა ცხოველებისაგან. ესენი ერთი მეორის არც ნათესავეები იყვნენ. ერთი იყო პაწაწკინა მარჯანი, მეორე — მელუზა, მერე ზღვის ვარსკვლავი და ხამანწყა.

ერთხელ ესენი ძუსაიფობდნენ იმაზე, თუ მომავალში რა შოგლის ამათ.



— მე ვიქნები ყაჩაღი, — სთქვა ზღვის ვარსკვლავმა, — ვიმაღლები ზღვის ტყეში და დავეცემი სხვა და სხვა ცხოველებს, რომელნიც ჩემზე სუსტები იქნებიან და გამოვწვავ მათ სისხლს.

— მე კი მინდა ცურაობა და სილამაზით ყველას ვაჯობო, — სთქვა მელუზამ, — და თუ ვინმე მომიახლოვდება, მაშინვე დაგწვამ.

— მე კი სადიდებლათ ვარ გაჩენილი, — თქვა ხამანწკამ და მედიდურათ გადახედა ყველას, თუმცა არც სახე ჰქონდა მას და არც თვალები.

— მართალს ამბობ? — დაეკითხა ზღვის ვარსკვლავი, — საიდან შეიტყე?

— მომისმინეთ და გეტყვით: ადამიანისათვის მე ჩვეულებრივი შინაური ცხოველი ვარ. მაგრამ დიდათ მაფასებენ კი, ზოგიერთნი მთელ თავის სიცოცხლეს ჩვენ გაშენებას ანდობებენ, რომ მერმე გაგვიციდონ. სხვები კი მარტო გვჭამენ. ისინი აკეთებენ ვეებერთელა აუზებს, იმაში გვინახამენ, იქ ჩასობილია სარები, რომელსაც მივეკრობით და ისე ვზივართ.

— მაშ, ადამიანს შეუძლიან ისე მოგიხმაროსთ, როგორც ინებებს, — უთხრა მელუზამ — და მერმე რა საშინელება უნდა იყოს სულ ერთ ადგილზე ჯდომა.

— აი ეგ არის მოსაწონი, — სთქვა ხამანწკამ, — ხარ შენთვის მოსვენებით, წყნარად ზიხარ ერთ ადგილზე, სანამ ვინმე არ მოვა და არ წაგიღებს საქმელად.

ამ ლაპარაკის დროს მარჯანი ხმას არ იღებდა. ე! იყო ჩუმი ქმნილება და ამიტომ ყველას ეგონა, რომ მისაგან არაფერი სიკეთე არ იქნება. ბოლოს ზღვის ვარსკვლავმა უთხრა:

— ზაწაწკინავ, შენ რაღას იტყვი: აბა, გიფიქრია განა შენ მომავალზე?

— მე სულ მხოლოდ მაგაზე ვფიქრობ, — თქვა მარჯანმა.

— მართლა! — დაიყვირა ზღვის ვარსკვლავმა, — ნეტავი თუ რასა ფიქრობ?

— თუ გინდა გეტყვით, მაგრამ რა გამოვიდა, ხომ ვერასფერს გაიგებთ, — თქვა მარჯანმა.



- შენ თქვი და ვნახოთ,—უბასუხეს ყველამ ერთხმით.
- მე რომ გავიზრდები, ავაშენებ კუნძულს...
- რასა?—შეპკვილეს სამივემ ერთად.
- „კუნძულს“—უბასუხა მარჯანმა.
- ეგ კი ძალიან გადააჭარბე, შორს მირბიხარ! როგორ შესძლებ, ერთი გვითხარი.

— ჯერ მე თვითონ არ ვიცი! მხოლოდ ის კი ვიცი, რომ სულ მალლა აიწევა ჩემი კუნძული და ტალღები მას არაფერს დააკლებენ.

სამივემ შორთეს სიცილი, მაგრამ ეს დაცინვა მარჯანს სრულებით არ აჯავრებდა. ის ამბობდა: ის იქნება ნამდვილი კუნძული, კუნძულზე ამოვა მშვენიერი ბზის ტყე, ჩიტები დაიბუღებენ შიგ, მის ირგვლივ წყალში სიცოცხლე იტრიალებს. ზღვის ვარსკვლავები, მედუზები აირევიან იქ ერთად, ზვირთები იმათ გადისვრიან მიწაზე, მზე მათ გახრწნის და დააღობს. კუნძულზე იცხოვრებს ადამიანი, ის ხამანწყას დაიჭერს და შესჭამს.

მარჯანი გაჩუმდა.

ამხანაგებს მოსწყინდათ მისი გაჯავრება, ყურადღებას აღარ აქცევდნენ და ერთად განაგრძობდნენ თამაშობას.

როდესაც მარჯანი წამოიზარდა, მან მიანება თავი მყუდრო ბინას და თავი მისცა ტალღებს, რომელმაც ტყის სიღრმეში გააქანა, აქ ის დიდ ხანს დაკურავდა და კარგად იღვინებდა. ბოლოს როგორც იყო ნახა. მარჯანი ამ ახალ ბინას მაგრად ჩაეჭიდა.

მარჯანს გამოება ხელები. ეს ხელები პირის ირგვლივ ისხდნენ. ის გრძნობდა რომ შიგნიდან ის მაგრდებოდა და ბოლოს მასში საკმაოდ გაჩნდა კირი.

— აი იწყება, აი ახლა იბნდება კუნძული,—ფიქრობდა მარჯანი

ერთ დღეს თავის ტანზედ მან დაინახა რაღაც კოწოლი (ყლორტი), ეს კოწოლი გარდაიქცა მშვენიერ მარჯანად, რომელიც სრულებით მას გვანდა. თითქო ხის ტოტიაო, ისე იჯდა ეს მარჯანი მის ტანზე. დედა მარჯანს უხაროდა:

— ახლა საქმე კარგათ წავა, — ფიქრობდა ის, —  
ორნი ვართ.

მან უამბო ყველაფერი ჯეელ მარჯანს იმ კუნძულზე,  
რომელიც უნდა ააშენოს მან. ჯეელმა მოუწონა აზრი. ორ-  
თავემ დაიწყეს ყლორტების გამოღება, გამრავლება და მალე  
აიმართა ლამაზი მარჯნის ხე. ამ ხის ყლორტები სწვდებოდა  
წყალს, იჭერდა ცხოველებს და გზავნიდა თავის გაუმძღარ  
კუქში.



— რა მშვენიერი ხეა, — თქვა ერთხელ ზღვის ვარსკვლავმა.  
— უკაცრავათ, მე ხე არ გახლავარ, მე ვარ მარჯანი, —  
პიუფო მარჯანმა.  
— შენ ის მარჯანი ხარ? — შეჰყვირა ზღვის ვარსკვლავმა,  
— როგორ გამოცვლილხარ, სრულებით ვერ გიცანი.




— ვერც მე გიცანი, — უპასუხა მარჯანმა. — მას შემდეგ ხომ არ შევხვედრივართ ერთმანეთს; მე ვაშენებ ამ კუნძულს.

— კიდევ ფიქრობ იმ სისულელეზე? ნუ თუ ისევ ის ბავშვი ხარ? მგონი, შენ ახლა მარტო აღარა ხარ, ისეთი შეხედულება გაქვს, თითქო ამხანაგები გიშოვია, ბევრს ერთად მოგიყრიათ თავი!

— მართალს ამბობ, — უპასუხა მარჯანმა.

— მაშ მთელ გროვათ სცხოვრობთ? არ ჩხუბობთ განა?

— რა გვაქვს საჩხუბარი. ჩვენ შევადგენთ ერთ ამხანაგობას, ერთი მიზნით ვართ გამსჭვალულნი. ჩვენ გვსურს ავგოთ კუნძული, და აბა სად მოვიცლით პირადი უკმაყოფილებისათვის.



გავიდა ურიცხვი წლები. იქ, სადაც ოდესმე პაწაწკინა მარჯანმა ბინა იშოვა, ახლა იყო ამართული მთელი ტყე მარჯანის ხეებისა. ბევრი ხეები უკვე გაკირული იყვნენ, სხვები კიდევ ცოცხალი მარჯანებიდან შესდგებოდნენ. ტაღლები ამ ხეებს ამსხვრევდნენ, ტოტებს ერთმანეთში ხლართავდნენ და

ამ გვარად იზრდებოდა კირის მთა, ერთ მშვენიერ დღეს წყლი-  
 დამ ამ მთამ ამოყო თავი.

— აი ჩვენი კუნძულიც, — სთქვეს მარჯნებმა, — სად არის  
 ჩვენი პაპა, რათ არ მოესწრო ის ამ ბედნიერებას.

მაგრამ სიხარული ცოტა ნაადრევი იყო. მალლა,  
 მარჯნებს ვერ შეეძლოთ გამრავლება, მზე უშლიდა.

— ჩვენ დაგეხმარებით, — უთხრეს ტალღებმა. ამოადდეს  
 ზღვის სიღრმიდან რამოდენიმე მარჯნის ბელტი და მთის  
 მწვერვალზე შეადგეს. აგერ კუნძულიც შეიქნა... ეს კუნძული  
 პატარაა, მაგრამ ძალიან ლამაზია, იგი ბრწყინავს მზეზე, ირ-  
 გვლივ კი წყლის მეტი არა ჩანს რა. ერთხელ მოფრინდა  
 თეთრი ფოცხი. ხანდისანს მოხდებოდა რომ დედა-მიწა, რო-  
 მელიც მთვარის ირგვლივ დასეირნობს, გაჯავრდებოდა უმი-  
 ზეზოდ, მთვარე მოუყვებოდა დაცინვას. ერთხელ გაჯავრე-  
 ბულმა დედა-მიწამ ტანზე დაიხედა და სადღაც შორს მოჰკრა  
 თვალი პატარა ამალღებულ ადგილს. უწინ მას არ ენახა ეს მთა.

— ეს კიდევ რა არის! — დაიყვირა გაკვირვებულმა დედა-  
 მიწამ.

ეს იყო მარჯნის კუნძული. როდესაც დედა-მიწამ გაიგო  
 როგორ გაჩნდა ეს კუნძული, განრისხდა.

— ამას მე ვერ მოვითმენ, შეხედეთ ერთი მაგ თავხედებს!  
 და დედა-მიწამ მაშინვე კუნძული წყალში ჩასძირა.

უცებ საშინელება მოხდა! კუნძული ერთ წამს დაი-  
 შალა. შეშინებული ფოცხი ჩხავილით აფრინდა, მარჯნის  
 ბელტები გადმოცვივდა და დაიმსხვრა.

მთელი ზღვის ტყე ხანზარებდა. როდესაც ზღვა და-  
 წყნარდა მარჯნებმა ერთმანეთს წასჩურჩულეს:

— არ შეგეშინდეთ, გახსოვდეთ ჩვენი კუნძული.

ამათ ისევ დაიწყეს მუშაობა.

ისევ მალლა აიყვანეს მთა. ისევ გაკეთდა კუნძული.  
 კუნძული იზრდებოდა და იზრდებოდა.

ერთხელ წყალმა გამოორიყა რალაც დიდი რგვალი საგანი.

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხეს მარჯნებმა.

— მე ვარ კოკოს ხის ნაყოფი. ვამშვენებ კუნძულებს, მე ყველა მიცნობს.

— შესაძლოა, მაგრამ ჩვენ კი ვერ გიცნობთ.

— კარგი, თუნდ აგრე იყოს. ერთი მითხარით, მოიბოვება თქვენს კუნძულზე იმოდენი მიწა, რომ მე გავიზარდო და ბზის ხეთ ვიქცე?

— ეს თურმე პალმა ყოფილა.


მარჯნები მიეგებენ ნაყოფს, ვინც კი მიუახლოვდებოდა კუნძულის ნაპირს, მარჯნები ყველას თხოვდნ დარჩით აქვეო. ტალღებს ხომ რანაირათ ეხვეწებოდნ გადმოყარეთ ნაპირაზე ყველაფერი, რაც მოგხვდეთო.

ერთხელ კუნძულს მოადგა ერთი ხე. მის ფულუროში როგორღაც დამალულიყო ორი ხელიკი. ეს ხე ტალღებმა გამორიყა კუნძულზე, იქ ხე დალბა, მის ფულუროდან ათასობით გადმოცვივდა სხვა და სხვა მცენარეების თესლები, კუნძული ამშვენდა. პალმა გაიზარდა. ნაყოფით აივსო. ფრინველებმა ბუდეები გააწყეს მის ტოტებზე.

ერთხელ ნავით ადამიანიც მოადგა ამ კუნძულს. სიხარულით გაგიჟდა რომ დაინახა ამისთანა მშვენვირობა. ეს ადამიანი თურმე ძლივს გადარჩა დაღუბვას, როდესაც გემი დაემსხვრა. ამან აქ შეაფარა თავი, სანამ სამშობლოში მოუხდებოდა დაბრუნება. რა გინდა სულო და გულო, რომ ამან აქ არ იპოვა საქმელათ. მარჯანი ამით კმაყოფილი იყო, მაგრამ შუშობას თავს არ ანებებდა. იგინი აშენებდნ და აშენებდნ თავის საყვარელ კუნძულს...

შ.

(თარგმანი)





## ღმიწის ძვრა იტალიაში.

აშინელი, უმაგალითო ღვთის რისხვა მოველი-  
ნა მშვენიერ იტალიას. იმისი ძვირფასი ნაწი-  
ლები სიცილია და კალაბრია მთლად დასა-  
ხიჩრდა. ბრწყინვალე, ძველის ძველი ქალაქი,  
იესო ქრისტეზე ორი ათასის წლის წინად ნა-  
გები მესინა, მთლად შთანთქა დედა-მიწამ, სიცოცხლით საე-  
სე და ყოველის სიმდიდრით შემკული ქალაქ რედეიოს ნაალა-  
გევიც აღარა სჩანს დედა-მიწის ზურგზე. 150,000—200,000  
ათასი მცხოვრები მოჰყვა ამ ქალაქების ნანგრევების ქვეშ და  
ვინც გადარჩა მიწის ძვრას, ის გააფთრებულ ზღვის ტალღებმა  
წალეკეს და დამარხეს ზღვის უფსკრულში. საშინელი სანახა-  
ვია ის სიცოცხლით საესე და ტურფათ აყვავებული მხარე-  
ფორთოხლის და ლიმონის ბაღების მაგივრად ზღვის ტალღებიდა  
დათარეშობენ გარეშემო. ძვირფასის სასახლეების და ეკლესი-  
ების სამაგიეროდ, ზედიზედ მიყრილი ნანგრევთა ხროვალა  
უკლავს გულს მნახველს. ნანგრევებ ქვეშიდან გამოძახილი,  
კენესა და გმინვა თმას ყალყზედ უყენებს ადამიანს!

ათი ათასობით მუშები სდგანან და სთხრიან ნანგრევებს  
და მათ ქვეშიდან ეზიდებიან დასახიჩრებულ მკვდრებს, დაჭ-  
რილ და დამახინჯებულ ცოცხლებს, შიშისაგან ჭკუაზედ შე-  
შლილ და დარეტყანებულ ადამიანებს. საკაცე საკაცეზედ მო-  
ბმული მიდის და დაჭრილებს მიასვენებენ ვემებზედ, სადაც  
აუარებელი ექიმნი და დოსტაქარნი უხვევენ ქრილობას, აძ-  
ლევენ პირველ დახმარებას და იტალიის სხვა და სხვა ქალა-  
ქებისკენ ისტუმრებენ. ყველა გადარჩენილნი საშინლად არიან  
შეშინებულნი და ჭერქვეშ შესვლას უარობენ. „ოჰ! კვლავ

იძვრის მიწა და დავილუბებით“, ყვირიან ისინი და ღიღი ძალაა საჭირო იმათ შესაკავებლად. „სად არის, ხომ არ შეგ-  
წვედრიათ ჩემი ცოლი, კითხულობს ერთი ქკუაზედ შემოი-  
ლი. სად არის ჩემი სახლი, შვილები?!. ღრიალებს მეორე.  
საშინელი სანახაობაა: გაშტერებულნი, ტიტველნი, მშიერნი  
დალასლასებენ, დეეძებენ თავიანთ სახლებს, ძვირფას მცხედ-  
რებს... ძაღლები ყმუიან, კატები ჩხავიან და მოურიდებლად  
მკვდარ კაცთა ლეშს სძიძკნიან. აუტანელი სუნი სდგას გარ-  
შემო, უკვე მძოვრად ქცეულის ადამიანის სხეულისა! „ბნელი  
ღამე იყო, ბურუსით იყო მოცული ქალაქი მესინა“, მოგვით-  
ხრობს ერთი გადარჩენილთაგანი. „ღამის ხუთი საათი და 20  
წამი იქნებოდა, სწორეთ ის დრო, როდესაც ადამიანს ტკბი-  
ლად სძინავს, მიწა მძლავრად შეირყა. ჩემი საწოლი პირდა-  
პირ კედელს დაეჯახა, მე ძირს გამმოვარდი, ჩემი ცოლი მე-  
ორე ოთახში იწვა, ავათმყოფ ბავშვთან, მივარდი იმ კარებს,  
მაგრამ ის ოთახი უკვე ჩაქცეულიყო, მაშინ გაღებულ ფან-  
ჯრიდან გადმოვხტი და აი ხომ ხედავთ ცოცხალი გადავრჩი.  
გადარჩენილები გარბოდნენ უგზო-უკვლოთ და მრავალი მათ-  
განი ახლად შერყეულ მიწის ძვრით ნანგრევებ ქვეშ ჰყვებოდ-  
ნენ. მრავალი გარბოდა ზღვისკენ, რომ იქ მაინც ასცდენოდა  
ნანგრევებთა ქვეშ მოყოლას, მაგრამ ზღვაშეკ თავი აიღო და  
ზედ შემოგვასქდა და მთელი არემარე თან წაიღო. ყოველი  
უბედურება იმით დაგვირგვინდა, რომ ელექტრონმა იფეთქა,  
ნავთის აუზებს ცეცხლი გაუჩნდა და ახლა ცეცხლის ნაკადუ-  
ლები მოედო ქალაქის ნანგრევებს. ნანგრევებს ქვეშ მოყო-  
ლილებს, კიდევ ცოცხლებს, ცეცხლი მოეკიდათ... მაგრამ ვის  
შეუძლიან აწერა, თქმა იმისი, თუ რა იყო და რა საშინელი  
ტანჯვა გამოიარეს ცოცხლად დამარხულმა მესინის მცხოვ-  
რებმა.

რკინის გზები დაინგრა, ალაგ-ალაგ გამსკდარ მიწაში  
მთელი პოეზიები შთაინთქა. მდინარე წყლები, წყაროები  
— დაშრა. რამდენიმე დღე გავიდა, მანამ ქალაქ რედუიოს მა-  
შველი გამოუჩნდა. რაც მიწის ძვრამ ხალხი გასწყვიტა, იმო-  
ღონავე შიმშილმა, სიცივემ და ქრილობის შეუხვეველობამ იმ-



სხვერპლა. დამშეულნი ერთმანერთს ლუკმა პურისთვის ჰკლავდნენ, ჰკლევდნენ. ციხეებიდან გამოვარდნილნი ავაზაკნი იკლებდნენ, სცარცვავდნენ ღვთისაგან გაჟებდურებულებს. „ჩემი ქმარი დიდი ვაჭარი იყო, მიწის ძვრის შემდეგ მარტო ერთი სამი წლის ქალით ხელში ზღვისკენ გავრბოდი, უცებ ზღვის ტალღა დამეტაკა და წავიქეცი... როცა გონს მოველ ჩემ გვერდით მარტო ეს ჩემი ბაღლის საბანილა ეგდო. უცებ ვილაც ყაჩაღი დამადგა თავს და ფული მთხოვა.—ამის მეტი არა გამაჩნია, უთხარ მე.—მომეც ეგ საბანი. მომეც ეგ საბანი, არას გზით ჩემ სიცოცხლეში! შევეყიდე მე. ეს ერთადერთი სახსოვარია ჩემის გვერანებულის ოჯახისა, შემობრალე, თუ ქრისტიანი ხარ! მე ქრისტესი არა ვიცი, სთქვა იმან, საშინელის სიცილით, მე მხოლოდ შენი შვილები მებრალე-ბიან და იმისთვის გარჩენ სიცოცხლეს, გვიამბობდა მეორე გადარჩენილი. და ათასი, ათი ათასი ამისთანა მაგალითია ნამბობი. სუყველას ჩამოთვლა შეუძლებელია.

მთელი იტალია მგლოვიარვა, მთელი იტალია სტირის! ყოველ ქალაქში ფოჩტასთან და ტელეგრაფთან აღამებენ პატრონნი დაღუპულებისა, იმ იმედით, იქნება შევიტყოთ რამეო. გაზეთის მკითხველები გზა-და-გზა ტირიან. ათასობით ხალხი ელის თავის ჯერს, რომ შევიდეს მერიაში (სამართველოში) და დაზარალებულთა სასარგებლოდ თავისი წვლილი შეიტანოს. ყველა იტალიელმა ექიმმა გამოაცხადა სურვილი, რომ უდემამოთ დარჩენილ ერთ ბავშვს მაინც აიყვანს გამოსაზრდელად. ხელმწიფის სასახლე, ეკლესიები, სასტუმროები საესეა დაჭრილებით და უსახლკაროთ დარჩენილებით. მთელმა ქვეყანამ, ყოველმა სახელმწიფომ, მწუხარება გამოუცხადა იტალიის ხელმწიფეს, იტალიის ხალხს! წყაროსავით მიდის შესაწირავი ყოველ მხრივ და მართლაც ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ეს საშინელი უბედურობა იტალიის არ შეიგნოს და რითიც კი შეძლება აქვს თანაგრძნობით არ გაუზიაროს.

## „ბუნკიანი“

ამბავი იანკელა ბუჭკასა, რამეღმან მინდამა ზირველი ვაჭარა  
გამხდარიუ იანკიანი.

მოთხრობა ჯენზეი მურაისა.



VI. დიდი განსაცდელი. —

სახიფათო მოგზაურობა.

ბუნკიანი კუმანოში რომ მოვიდა, ოსაკიდან  
გამოგზავნილი თევზის საჭერი იარაღები უკვე  
მოსულიყო; ბუნკიანი ყველა ეს ჩაიბარა და  
ვასწია იარაღის გასასყიდათ იმ სოფლებისაკენ,  
სადაც მცხოვრებლები თევზის ჭერას მისდევ-  
დნენ. სოფლები სიამოვნებით ყიდულობდნენ  
ამ იარაღს, მით უფრო სიამოვნებით, რომ  
ამით გაგებული ჰქონდათ ბავშვის ნათელ-თევზას  
თავ-გადასავალი. რადგანაც იარაღის ფასი დი-  
დი იყო, ბუნკიანი კარგი სარგებლობა ნახა ამ

საეაქროში.

ამგვართ მოგებული ფული რომ ბუნკიანის ტყუილ-  
უბრალოთ არ შამოხარჯოდა, მან საკუთრივ დაიწყო ვაჭრო-  
ბა კუმანოში, რადგანაც აქ ფორთოხალი ძვირათ იყიდებო-  
და, ამაშიაც ბუნკიანის კაი მოგება დარჩა. თუმცა ყმაწვილი  
ამგვართ გართობილი იყო ვაჭრობაში, მაგრამ მინცა და მინც  
დაიკოკუის საეაქრო სახლს იგი არ მოშორებია, აქაც კარგათ



აწარმოებდა საქმეს. წლის ბოლოს მისი თანხა ერთი ორათ ვალიდდა. ამ ხანებში ბუნკიჩისაგან დავალებული მეზღვაური, კიშიდაიუც, მოვიდა მასთან. ბუნკიჩიმ თავის მწყალობელ დაიკოკუის ამისთვის ადგილი გამოსთხოვა. ესეც სიამოვნებით დასთანხმდა და მისცა მას ერთს დიდ გემზე უფროსობა.

ახლა ხომ კიშიდაიუ უფრო ისეთნაირათ ეთაყვანებოდა ბუნკიჩის, რომ იგი მზათ იყო, თუ შემთხვევა ნებას მისცემდა, თავიც კი გაეწირა ამისთვის. ერთხელ მეზღვაურმა მოწიწებით უთხრა ამას: მე სულითა და გულით თანაუგრძნობ თქვენი ცხოვრების საგანს და აღტაცებულიცა ვარ თქვენი მისწრაფებით. და, რადგანაც მე თქვენგან ძალიან დავალებული ვარ, ნება მომეცით უღრმესი პატივისცემა და მადლობა გადაგიხადოთ; მე მზათა ვარ ყველაფერში დახმარება ვაგიწიოთ და თავი გავწირო თქვენთვის.

ბუნკიჩი ამ სიტყვებმა ძალიან გაახარა და მან სიცილით წარმოსთქვა: „დადგება თუ არა როდისმე ჩემი გამდიდრების ჟამი? იმისთანა სიმდიდრეს კი, როგორიც დაიკოკუისა აქვს, ჩვენ ათს დღეში მოვიპოვებთ.“

ამის შემდეგ ოთხი წელიწადი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ბუნკიჩიმ ჩინებულათ წაიყვანა თავისი საქმე; ფული კარგა ბლომათ მოიგო და ამ მოგების ერთი ნაწილი ახლო-მახლო სოფლებში ღარიბ მცხოვრებლებს დაურიგა. ახლა იგი 18 წლისა შესრულდა. დადგა შემოდგომა და ღვინობისთვის დასაწყისში დასავლეთის ქარი განუწყვეტლივ ჰქროდა რამდენიმე დღე. ამის გამოისობით კუმანო-ურაში გემების მიმოსვლა ზღვაზედ სრულიათ შეჩერდა. ფორთოხალი, რომელიც კის პროვინციიდან იედოში \*) უნდა გაგზავნილიყო, კუმანო-ურაში გროვდებოდა და აქაური თბილი ჰაერის გამო ლპებოდა, იედოდან ფოშტალიონ-შიკრიკებს (ხიკიაკუ) მოჰქონდათ მრავალი წერილები, სადაც ემუდარებო-

\*) ძველი სახელი იაპონიის სატახტო ქალაქისა, რომელსაც ახლაც ტოკიოს ეძახიან.





დენ ბუნკიჩის ფორთოხალის გაგზავნის დაჩქარებას: დღე-დღეზე მოელოდენ დიდებულ დღესასწაულს (ფუიგო-მატუზურას) და ფორთოხალით ვაჭრობა ძალიან ხელს მისცემდა ყველას. ზღვა კი დღითი დღე ბობოქრობდა, ქარი გამუდმებით ქროდა, ზუზუნებდა და შემოდგომის მქრქალი ცა ჯანყითა და ბურუსით ეფინებოდა ზღვას. მცხოვრებლებს ვერ გაეგებნათ გემის გაშვება, იგინი გულ-ხელ-დაკრეფილნი იდგენ და დარდიანი გულით შეჰყურებდენ აზვირთებულ ზღვას და შავ ღრუბლებს.

ბუნკიჩი მუდამ დღე მიდიოდა ზღვის დასათვარიელებლათ და შესცქეროდა არეულ ცასა და მისი სახე ხანდახან გამოხატავდა რაღაც ჩუმსა და გამოუცნობელ სიხარულს. სხვები ამბობდენ: „ჩვენ იმედი ვვაქვს მალე გამოიღარებსო“, ბუნკიჩი კი უპასუხებდა: „მე კი ვნატრობ. რომ ეს მალე არ მოხდესო“.

ამის გამგონე ხალხი ეუბნებოდა მას: „თქვენ როგორღაც უცნაურათ გველაპარაკებითო“.

— ვინ იცის რა მოხდება?—უპასუხებდა იგი ღიმილით. როდესაც ბუნკიჩი ამ ლაპარაკში იყო გართული, კიშიდაიუც მოვიდა ზღვის დასათვალიერებლათ. დაინახა რა ქაბუკმა მეზღვაური, მივიდა მასთან და ჰკითხა:

— კიშიდაიუ სენ, თქვენ როგორა ფიქრობთ, ეს ქარი ჩადგება თუ არა?

— მე ძალიან მესიამოვნებოდა, რომ ქარი ჩამდგარიყო, მაგრამ ამის ნიშნები არსაით არ მოსჩანს.

— მე კი ძალიან მეწყინება, თუ ამ ორ-სამ დღეში ქარი ჩადგება!

— მე მგონია, რომ ბევრი მოლოდინი დაგვკირდება!

— ძალიან კარგი, — უპასუხა ქაბუკმა, — ვინემ ქარი ჩადგებოდეს — შვიძლება თუ არა აქედან იედოში ნავით წასვლა? როგორა ფიქრობთ, მგონი რომ ჩინებულნი აზრია.

კიშიდაიუმ გაკვირვებით შეჰხედა ბუნკიჩის და უთხრა:

— გეთაყვა, მაგრე ნუ მეხუმრებით. ამ აღელვებულ ზღვაში



რომ ნავი გაუშვათ, იგი ხომ თვალის დახამხამებაში გადაბრუნდა!

— აი სწორეთ მაგ სიძნელეს უნდა დავძლიოთ. განაკვირდაიუ სენ არა სცდის ამას? სთქვა ბუნკიჩიმ.

მეზღვაურმა ღიმილით უპასუხა:

— თუ ღმერთი გწამთ, მაგისთანა ხუშრობას თავი დაანებეთ.

ბუნკიჩიმ დარბაისელი ხმა მიიღო და გადაქრით უპასუხა:

— კვირდაიუ სენ, მე სრულიათაც არა ვხუმრობ. ქარი რომ აღმოსავლეთისა, ან ჩრდილოეთისა იყვეს, მაშინ მე არაფერს ვიტყვადი, მაგრამ, ხომ ხედავთ, რომ დასავლეთის ზურგის ქარია და ამ დროს იედოსაკენ გამგზავრება არაფერ სახიფათოს არ წარმოადგენს; და, მაშასადამე, თქვენი შიში იედოსაკენ გამგზავრებისა უსაფუძვლოთ უნდა ჩაითვალოს.

ბუნკიჩის ნალაპარაკებით გაკვირვებულმა კვირდაიუმ ასე უპასუხა:

— თუ ბედი ჩვენკენ იქნება, მაშინ, რასაკვირველია, ყველაფერი გაკეთდება. მე მხოლოდ ის უნდა გამომეთქვა, რომ ყველაფერი ბედზეა დამოკიდებული.

— სწორეთ რომ მართალსა ბრძანებთ თქვენ, — გაიმეორა კაბუკმა. ძალიან ადვილია იმის გაკეთება, რის გაკეთება სხვა-საც შეუძლიან; საქმე ის არის იმისთანა რამ გააკეთო, რის გაკეთებაც, სიძნელისა განო, სხვისთვის მიუწდომელია: აი სწორეთ ამისთანა საქმის გაკეთება იქნება დიდება და სახელი გამკეთებელისა! კვირდაიუ სენ! სწორეთ ახლა დადგა ჟამი გამდიდრებისა, რომელზედაც მე ერთხელ გელაპარაკეთ კიდევ: იედოში დიდს საქიროებას შეადგენს ფორთოხალი დღესასწაულის გამო და ფასმა ერთი ათათ აიწია. აქ კი, ამ ნავთსადგურში აუარებელი ფორთოხალია მოგროვილი, მყიდველი არსადა სჩანს და ფასმა ერთი ათათ დაიწია! ახლა იანგარიშეთ თქვენ: ჩვენ რომ ერთი ათათ გავყიდოთ, მაშინ ხომ ასი პიო მოგვცემს ათი ათას პიოს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ბედმა გვარგუნოს როდისმე ამისთანა მარჯვე შემთხვევა. რაც შეეხება გემს, დაიკოკუსა ვთხოვ და დანარჩენი თქვენზე იქნება

დამოკიდებული, რადგანაც მე მინდა, რომ თქვენ უფროსობა ითავოთ იმ გემზე.

— ჩემი სურვილია, ვინემდის ასეთი ამინდია, მრავალი ფორთოხალი გადავიტანო იელოში. ქაბუკმა ახლა კი თამამათ გამოსოქვა თავისი განძრახვა.

ღრმა ფიქრებით შეპყრობილმა კიშიდაიუმ გულ-ხელი დაიკრიფა და ისე იყო გაჩერებული. მერე კი აიღო მალლა თავი და სოქვა:

— დიახ, თქვენთვის, მხოლოდ თქვენთვის შემოძლიან თავი გავწირო და შევეცადო იელომდის მიხწევა, ჩემთვის სულ ერთი იქნება—თუნდ აზვირთებულ ზღვასაც რომ ვერ გაუძლოს ჩემმა გემმა და ჩაინთქას იგი მის უფსკრულში. თქვენ თვითონ ხომ წამოხვალთ ჩემთან?

— რაღა თქმა უნდა, უეჭველათ. მე რომ არ წამოვიდე, საქმე ისე ვერ გაკეთდება, როგორც სასურველია, — სოქვა ბუნვიჩიმი, — ვაქრობა იგივეა, რაც ომი. ამის მაგალითი ძველათ-ძველმა იოშირუნმა მოგვცა: მან აფორიაქებულ ზღვაში შეგზავნა თავისი სამხედრო გემები, მოულოდნელათ დაეცა მტერს შიკოკოსთან და გაიმარჯვა კიდეც. ამისთანა ამინდმა რომ ჩვენ შეგვაშინოს, მაშინ ხომ ვერც ერთს კარგს საქმეს წინ ვერ წაწვევთ. ყოველ დაბრკოლებას მამაცურათ უნდა დახვედრა. თუ სიკვდილია — ყველა ერთათ დავიხოცნოთ და თუ გავიმარჯვებთ — ყველა უხვათ იქნება დასაჩუქრებული. ჩვენ უნდა მებღვაურებს საფასი ერთი ათათ მეტი დაუნიშნოთ, — განავრძო ბუნვიჩიმი. მე მგონი, ყველა დასთანხმდება ამ პირობებზე და ურიგო არ იქნება, თქვენ თვითონ იშოვნოთ კეთილ-საიმედო მებღვაურები და შეუდგეთ სამზადისს. სოქვა ესა და გადასცა მომავალ გემის უფროსს საქირო ფული, თვითონ კი დაბრუნდა დაიკოკუაში და პირდაპირ თავის ვაქართან მივიდა.

— ბატონო, უთხრა მან, ხომ მართალია, რომ თქვენ გემებში ყველაზე ძველი გემი „ტენჯინ-მარუ“-ა?

ამ მოულოდნელი კითხვით გაკვირვებულმა ვაქარმა უთხრა:



— დიახ, ეს გემი ძალიან ძველია და ვფიქრობ კიდევ ამ მოკლე ხანში მის დაშლას.

— შეიძლება, რომ მომყიდოთ მე?

ამაზე ვაჭარმა უბასუხა:

— თუ კი თქვენ რამეში გამოგადგებათ, მიირთვით, მე თქვენთვის მიჩუქებია.

— მინდა იედოში ფორთოხალი გადავიტანო,—უბასუხა ქაბუკმა.

— უეჭველია, მაშინ ხოლო, როდესაც ამინდი შეიცვლება.—უთხრა ვაჭარმა.

— სრულიათაც არა,—უბასუხა ყმაწვილმა,—მე მინდა ახლა ამისთანა ამინდში!

ვაჭარმა გაკვირვებით შეხედა ქაბუკს და წამოიძახა:

— უცნაური აზრია, თქვენმა მზემ!

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ბუნკიჩი მივიდა მასთან ახლო და უთხრა:

— გეთაყვანეთ, მომყიდეთ მე ეგ გემი. სავაჭრო ოში მინდა დავიწყო.

ვაჭარი მალე მიხვდა მის მტკიცე განძრახვას და უთხრა:

— ძალიან კარგი, წაიღეთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ „ტენჯუნ მარუ“ ყოველ შემთხვევაში სასიფათო გემია; მე შემოდლიან ეხლავე სხვა უფრო კარგი გემი მოგიმზადოთ.

— არა, ბატონო, არა, გმადლობთ, მე თქვენგან ისეც ძალიან ვარ დავალებული. ეს ჩემი განძრახვა შემთხვევაზეა აშენებული. შეიძლება თქვენი გემი ზღვამ მიღეწ-მოღეწოს და გახსოვდეთ, რომ თქვენ ამ შემთხვევაში ის აღარ დაგიბრუნდებათ, და ამისთვისაც ვამჯობინე, რომ ყველაფერი ჩემი საკუთარი ხარჯით მოვმართო.

ვაჭარმა კარგათ იცოდა ბუნკიჩის მტკიცე ხასიათი და ამისთვის წინააღმდეგობა აღარ გაუწია, მხოლოდ ეს კი უთხრა:

— კარგი, მოგყიდით მაგ გემს და ვინატრებ, რომ გამარჯვებული დაბრუნებულიყო იედოდან.

ქალიშვილი ჩოჩო, რომელსაც თექვსმეტი წელიწადი კიდევ გაუთავდა, იქვე ახლო იდგა და ესმოდა ყველაფერი,



რასაც ესენი ლაპარაკობდნ. ჩოჩოს უკვირდა ყველა ეს და მის სახეს აღშფოთება ეტყობოდა.—ნუ თუ ამისთანა ავდარში ბუნკიჩი აპირებს იედოში წასვლას?—წარმოსთქვა მან. მის დედასაც უნდოდა რაიმე საწინააღმდეგო ეთქვა ქაბუკის მოგზაურობის შესახებ, მაგრამ ვერა ჰბედავდა, რადგანაც მისმა ქმარმა ამაზე თანხმობა გამოაცხადა. მხოლოდ მან ხმამაღლა, ყველასთვის გასაგონათ, ქალიშვილს ასე უპასუხა: „ჰო, შვილო, ამისთანა ქარიან და არეულ ამინდში ზღვაში გასვლა ძალიან სახიფათოა“. „მართალს ამბობ, დედა, ძალიან ძნელია, — გულ-ამოცქვნით უპასუხა ჩოჩომ.

ბუნკიჩიმ გადიხადა „ტენჯინ-მარუ“-ს საფასი; მერე წავიდა მაღაზიებში და იყიდა აუარებელი ფორთოხალი. ვაჭკრებს, უმუშტრობისა გამო, ფორთოხალი სულ მთლათ უღებოდათ და ამისთვის ესენი დიდს საგონებელში იყვენ ჩაცვივნულნი. ერთს მათგანს ბუნკიჩი კიდევაც შეეკითხა:

— ფორთოხალი ყოველ დღე გიფუჭდებათ?

— დიახ, ყოველ დღე და დიდს განსაცდელშიაცა ვართ ჩაცვივნული. ნახევარი ჩვენი საქონელი სულ მთლათ გატი-აღდა, და ეს ამბავი ასე რომ გაგრძელდეს, რაღაც ათ დღეში სულ ხელ-ცარიელები დავრჩებით.

ამაზედ ბუნკიჩი შეეკითხა:

— მაშ, თქვენ, რაც უნდა ფასი შეგაძლიონ, ხომ გაპყიდით?

— რასაკვირველია, სიხარულით; ის არა სჯობია ზარალით გაყიდოთ, ვინემ მის გადაყრაში კიდევ ფული გადახიხადოთ.

ამაზე ბუნკიჩიმ უთხრა:

— მაშ, რახან აგრეა, ყველა თქვენს ფორთოხლებს მე ვიყიდი და თვითეულ ყუთში 16 მონს \*) მოგართმევთ.

ამ წინადადებით გაკვირვებულმა ვაქარმა უპასუხა:

-- განა ეს ძალიან იათათ არ იქნება?

\*) იაპონიის ვერცხლის ფულია.


— ხომ სულერთიანათ გიღებებათ და რასა ზარალობთ? მე სრულიათაც არ გადალადებთ, როგორც გნებავდეთ, — გულგრილათ უბასუხა ყმაწვილმა და წასვლა დააპირა.

— მოითმინეთ ცოტა. მე მოგყიდით 16 მონსათ, მხოლოთ იმ პირობით, თუ სულ ერთიანათ გამისაღებთ.

— სულ ერთიანათ, — უბასუხა ბუნკიჩიმ, — მე ვიყიდი იმდენს, რამდენიც დაეტევა დიდ გემზედ. ამრიგათ ყმაწვილმა იყიდა რაც ფორთოხალი იყო დუქანში აქედან სხვა ვაჭრებსაც ჩამოუარა და აქაც ძალიან იაფათ იყიდა. მერე კაციც გაგზავნა ფორთოხალის ფერმაში და იქაც ბევრი მოაგროვა. ასე ამრიგათ ჭაბუკმა იყიდა მრავალთ-მრავალი ფორთოხალი, დააწყო გემზე იმდენი, რომ ფსკერმა გემისამ სიმძიმისა გამოკარგათ ღრმათ ჩაიწია ზღვაში.

ალ. ნათაძე.

(გაგრძელება იქნება)



## გამოსაღები ცოდნა.

### წ უ მ წ უ მ ა.



რთს საუკუნეს არც კი გაუვლია მას აქეთ, რაც შემოიღეს წუმწუმას ხმარება. წინეთ ცეცხლის გასაჩენათ გვექონდა კაჭი. ხოლო 1833 წელს შემოიღეს წუმწუმა. მისი მომგონი იყო ქიმიკოსი ნეშეცი კამერერი, რომელმაც ამ წელს ბევრი ცდის შემდეგ მოახერხა გაკეთება ფოსფორის სითხისა, რომელიც ხორკლიან საგნის ზედა-პირზე ადვილათ აიფეთქებოდა. ეს გამოგონება ხელში ჩაიგდეს ვენის ფაბრიკანტებმა და ამათ დაიწყეს პირველათ ფაბრიკების შემწეობით წუმწუმას გაკეთება და მას აქეთ ყველასთვის აუცილებლათ საჭირო გახდა წუმწუმა.

ამ ჟამათ ძნელათ წარმოვიდგენთ იმისთანა ოჯახს, რომელიც იოლათ მიდიოდეს უწუმწუმოთ. წუმწუმას ხმარობს ყველა, დიდი და პატარა.

რუსეთში თავდაპირველათ სამზღვარ-გარეთილამ შემოჰქონდათ წუმწუმა, მხოლოდ 1837 წელს დაიწყეს მისი გაკეთება რუსეთში - პირველათ პეტერბურგში და მერე სხვა ქალაქებშიაც. ბევრი ცვლილება გამოიარა წუმწუმამ, სანამ ისეთი გახდებოდა, როგორსაც ახლა ვხმარობთ.

წუმწუმას გაკეთება რთულია და არ არი ადვილი.

ჯერ აიღებენ ძელს, ჩამოსჭრიან გრძლათ თხელ ფიცრებს ერთი ზომისას საგანგებოთ ამისთვის გაკეთებულ მანქანაზე. მერე ამ ფიცრებს სთლიან კიდევ ამისთვის მოწყობილ მანქანაზე ისეთ ჩხირებათ, როგორიც წუმწუმასა აქვს, ამისთვის კიდევ სხვა-და-სხვა დასაჭრელი და საზომავი იარაღია. მს პატარა ჩხირები სწორეთ ჩალის სისქეა და მერე მათ კარ-



გა გაშრობა სჭირდება. ამისათვისაც ცხრილებია გაკეთებული, რომელზედაც აწყობენ ამ წვრილ ჩხირებს. ბოლოს ამ ჩხირებს აწყობენ მწყობრათ ჩარჩოებზე და ამზადებენ ფოსფორის სითხეში ამოსავლებლათ და როდესაც ამოსავლებენ, კიდევ აშრობენ ჰაერზე, რომ ისე ჩაიწყოს კოლოფებში.

წებოს ან გუმერაბიკს ძალიან ადუღებენ და ამ სითხეს უმატებენ ფოსფორს და აი ეს მომზადებული სითხე გვაძლევს ცეცხლს.

წუმწუმას კოლოფის გაკეთებასაც ბევრი თავის ტეხა უნდება. ამისთვისაც სხვა-და-სხვა მანქანებია. ზოგი მანქანა კოლოფის ერთ ნაწილს აკეთებს, ზოგი კი მეორეს. ათი საათის განმავლობაში ორ მანქანას შეუძლიან გააკეთოს 35,000 წუმწუმას კოლოფი.

ამისთანა პაწაწინა საგანს ამოდენა მანქანები და მუშაობა უნდება, მაგრამ ფაბრიკანტებს დიდი მოგება აქვთ, რადგან დედა-მიწაზე არ მოიპოვება იმისთანა ადამიანი, რომელსაც არ სჭირდებოდეს წუმწუმა.

## მ ა კ ა რ ო ნ ი .

**ს**ანოვადგეთა შორის მაკარონი ერთი საუკეთესო საჭმელათ ითვლება. ყოველ სახელმწიფოში, გინდ დიდ კაცის და გინდ სოფელელის სუფრაზე ნახავთ საჭმელთა შორის მაკარონს. გინდა მდიდარი მილიონერი იყოს და გინდ ღარიბი მუშა, მაინც შეუძლებელია, რომ ეს თეთრი, გრძელი შოლტივით ცომი სუფრაზე არ მოიტანონ.

პირველათ მაკარონის ხმარება დაიწყეს იტალიაში და აქამდის იმათთვის საყვარელი, აუცილებელი და იაფი საჭმელია ეს მაკარონი.

ძველათვე რომ მაკარონს ხმარობდენ საჭმელათ—ამას რომაელები გვიმტკიცებენ, იმათ იცოდენ მისგან გემრიელი საჭმელების გაკეთება.



იტალიაში მაკარონს აკეთებენ განგებ ამისთვის მომზადებულ რგვალ და მოგრძო ყალიბებში, რომელსაც ჰქვიან „მაკარონი“ და ამიტომ დაარქვეს ამასაც მაკარონი. სუყველაზე ადრე ნეაპოლში დაიწყეს მაკარონის გაკეთება, მერე გენუაში და ბოლოს სხვა ქალაქებმაც მიჰბადეს. მაკარონს დიდხანს მარტო იტალიაში ამზადებდენ და იქიდან სხვა და სხვა ქვეყნებში მიჰქონდათ. ამ ჟამათ მაკარონის ფაბრიკები ყოველგან მოიპოვება.

თვითონ მაკარონის გაკეთება ადვილია. პურის ფქვილიდან მოხელამენ ერთგვარათ მაგრათ ცომს, მერე ამ ცომს გაატარებენ ისეთ ყალიბში, რომლის შემწეობით მაკარონს ეძლევა ისეთი სახე, როგორსაც ვხედავთ გასაყიდათ დუქნებში გამოტანილ მაკარონს. ამ ყალიბებში გამოყვანილ ცომს აშრობენ ცხრილებზე. იტალიაში პირდაპირ მზეზე გამოაქვთ გასაშრობათ. ფაბრიკებს საშრობათ აქვთ მოწყობილი დიდი აივნები. მაკარონის გაშრობას უნდება ექვსი—რვა დღე, რადგან ნედლი მაკარონი გამოიცვლის ადვილათ ფორმას.

ამ გვართვე, ამავე ფაბრიკებში ამზადებენ ვერმიშელს. ესეც გენახვებათ, ყმაწვილებო. გამოჰყავთ ცომის ძაფები, ზოგჯერ პატარ-პატარა ვარსკვლავებათ აკეთებენ ცომს. ამასაც ისევე აშრობენ, ხოლო ქვეშ ქალაღდს უშლიან.

როდესაც მაკარონს და ვერმიშელს კარგათ გააშრობენ, ყუთებში ჩაალაგებენ და ისე გაგზავნიან სხვა და სხვა ქვეყნებში.



## Открыта подписка на 1909-и годъ

на ежедневную безпартійную общественно-политическую и литературную газету

### „Новости Закавказья.“

Въ газетѣ принимаютъ участіе многія изъ лучшихъ мѣстныхъ силъ. Имѣются корреспонденты во всѣхъ углахъ Закавказья, а также въ Центрахъ Россіи и Европы.

Въ скоромъ времени форматъ газеты будетъ увеличенъ, а пока газета будетъ выходить съ „особыми приложениями.“

**ПОДПИСНАЯ ПЛАТА:** | въ Тифлисѣ за годъ—6 р., номѣсячно—75 к.  
| въ провинціи „ „ 8 „ „ 75 „

Лица, подписывающіяся теперь-же на годъ, или на полъ-года за декабрь мѣсяцъ газету получаютъ бесплатно.

**ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:** за мѣсто, занимаемое строкой петита передъ текстомъ—10 коп. послѣ текста—5 коп. За абъявленія въ справочномъ отдѣлѣ—3 коп. строка, въ отдѣлѣ „Стороннее сообщеніе“—10 коп. строка.

Адресъ конторы и редакціи: ЭРИВАНСКАЯ ПЛОЩ., д. Кредитн. Общ. (общій подъѣздъ съ Торг. Д. Неишеллеръ)

*Редакторъ принимаетъ ежедневно только отъ 2—3 часовъ дня.*

Редакторъ П. Готуа.

საქმეწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## ცეცოლი

დაარსებულია 1890 წელს

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისთვის და მოსწრდილთათვის ფასი წლიური: ქალაქ გარეთ 5. მ. ქალაქში 4 მ. ცალკე ნომერი 40.

ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა